ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული – პიროვნული

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 7 (1445) | 10-17 მარტი, 1996 წ.

ძვირფასო მკითხველო!

საბაზრო ეკონომიკამ, რომლის დამკვიდრებისათვის ჩვენც არ დაგვიკლია ძალისხმევა და შესაბამის იდეოლოგიურ ფონს ვქმნიდით, პირველ რიგში ლამის არის ჩვენ და ჩვენნაირ გაზეთებს გამოგვიყვანოს წირვა.

ახლა სერიოზული აღარავის არაფერი სურს. ხალხი აპათიაშია ჩავარდნილი.

და კიდევ, ბევრს სექსუალური მაზოხიზმი დამართნია — საცა ტიტველი ქალის სურათს დაინახავენ, ის გაზეთი იყიდება. სადაც გულის სისხლით დაწერილი სტატიებია, იქით აღარავინ იხედება...

ერთი სიტყვით, ამ საბაზრო ეკონომიკის გადამკიდეთ, რაღაცის მოფიქრება გვმართებს. ტიტველი ქალებისა და მამაკაცების ფოტოებს ჩვენ ვერ გამოვეკიდებით, მაგრამ რაღაც ისეთი კი უნდა მოგვეფიქრებინა, შემეცნებითი ღირებულებაც რომ ექნება, ღიმილსაც მოგგვრით და ჩვენს მოღვაწეთა პორტრეტებსაც დაგიხატავთ.

ქვემოთ შეგახსენებთ ქართულ ანდაზებს ფოტოსურათებისა და შიგა და შიგ მცირე კომენტარების თანხლებით. ამ ნომრიდან დაიბადება ახალი რუბრიკა

ანდაზნარევი პორტრეტები

მაშ ასე, ვიწყებთ ა-ნით.

ა ქლემები წაიკიდნენ კოზაკი შუაში გასრისესო...



არ გათეთრდების ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა

ავაფურთხე ულვაშს მოხვდა,
დავაფურთხე წვერს მოხვდაო

ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა
თუ კაცი კაცად არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა



ქართლოს ლარიბაშვილი



ბორის კაკუბავა

ვახტანგ რჩეულიშვილი

ალიაქოთი საქართველოს ალმასრულებელ სტრუქტურებში

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲣ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ: ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ (ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ) ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡᲓᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ (ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ) ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘ ᲨᲠᲘᲪᲮᲐᲕᲔᲜ ᲓᲘᲓᲫᲐᲚ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲐ 4-6 ᲗᲕᲘᲡ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲘ 12-15 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲔᲜ, რის გამოც დავალიანება ხანდაზმული და უიმედო ხდება. კერძოდ, „საქენერგომ“ 1993 წლის თებერვალში ასოციაცია „ფიროსმანის მეგობრების“ ანგარიშზე ჩარიცხა 1 მლნ. მანეთი „ერთობლივი საგანგებო საქმიანობისათვის“, მაგრამ წელიწადნახევრის განმავლობაში აღნიშნულ ასოციაციას არც თანხა დაუბრუნებია და არც უკუგების სახით რაიმე შემოსავალი მიუღია. იმავე „საქენერგოს“ მიერ საქართველოს სამეცნიერო-სამრეწველო საწარმოს ნაცვლად 1992 წლის აგვისტოში ნიჟნი ნოვგოროდში ჩარიცხული აქვს 882 ათ. მანეთი, მსუბუქი ავტომანქანა გაზ-31-ის შესაძენად, მაგრამ აღნიშნული ავტომანქანა შემოწმების მომენტისათვის შემოტანილი არ იყო. ასევე „საქენერგოს“ მიერ 1993 წლის 28 მაისს ფირმა „კვანტის“ ანგარიშზე ჩარიცხულ იქნა 50 მლნ-მდე კუპონი 15 ცალი პერსონალური კომპიუტერისა და 12 ცალი პრინტერის შეძენის მიზნით, შემოწმებით კი გაირკვა, რომ ფირმის მიერ მიწოდებულ იქნა მხოლოდ 1 კომპიუტერი თანხით 3,1 მლნ. კუპონი, ხოლო 46,8 მლნ. კუპონი დღემდე გადაუხდელია.

ანალოგიური ოპერაციებია განხორციელებული კონცერნ „საქნავთობპროდუქტების“ მიერ. 1992 წელს კონცერნის მიერ ნათავობპროდუქტების ღირებულების წინასწარი გადახდის ფორმით დონეცკის ფირმა „ფანტასტიკას“ ჩაერიცხა 154 მლნ. მანეთი, რომელიც დაუსაქონლებელია. ამავე კონცერნის მიერ 1992 წლის ივლისში ჩარიცხულ იქნა 41,8 მლნ. მანეთი ფირმა „ინტერსვიაზის“ ანგარიშზე, რომლის დასაქონლებაც არ მომხდარა და აღნიშნული თანხა ირიცხება როგორც ხანდაზმული და უიმედო დებიტორული დავალიანება. ანალოგიურად, 1992 წლის ივნის-ივლისში კონცერნის მიერ გადარიცხულ იქნა შ.პ.ს „მერიდიან“-ზე (ქ.სამარა) — 1,8 მლნ. მანეთი, სააქციო საზოგადოება „აკს“-ზე (ქ.სამარა) — 152 მლნ. მანეთი, ფირმა „სფინქს“-ზე (ქ.თბილისი) — 15 მლნ. მანეთი, თბილისის საბროკერო ფირმა „რინგი-91“-ზე — 15,4 მლნ. მანეთი და სხვა, რომლებიც დღემდე ირიცხებიან კონცერნის დებიტორებად. ანალოგიური შემთხვევებია სხვა ფირმებთან ურთიერთობაშიც, რის გამოც კონცერნის კუთვნილი თანხები მილიონობით რუსული მანეთის ოდენობით, რესპუბლიკის გარეთ დებიტორულ დავალიანებად ირიცხება.

1992 წლის იანვარში დეპარტამენტ „საქგაზის“ მიერ შალის საქსოვი ფაბრიკის ანგარიშზე გადარიცხული 48,0 ათასი მანეთი დეპარტამენტს იმავე ოდენობით უკან დაუბრუნდა 2 წლის შემდეგ, კუპონებით. იმავე წელს ერევნის კოოპერატივ „მაკუსის“ ანგარიშზე ჩარიცხული 11,5 მლნ. მანეთი, კომერციულ ფირმა „ნიბლიას“ ანგარიშზე ჩარიცხული 2,0 მლნ. მანეთი, ომსკის ქარხანა „ბარნაულის“ ანგარიშზე ჩარიცხული 1,3 მლნ. მანეთი და ა.შ. დაუსაქონლებელია და თანხები დეპარტამენტს არ დაბრუნებია.

რიგ შემთხვევებში საწარმოები ყოველგვარი წინასწარი ჩარიცხვისა და შესატყვისი გარანტიების გარეშე პროდუქციას აწვდიან მომხმარებლებს, მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, ღირებულების ანაზღაურება კი უმრავლეს შემთხვევაში დიდი დაგვიანებით ან საერთოდ არ ხდება. ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, 1993 წლის თებერვალ-სექტემბრის პერიოდში ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ კომბინატზე გადატვირთული 989 მლნ. რუბლის პროდუქციიდან 1994 წლის იანვრის მდგომარეობით გაუნაღდებელი იყო 400 მლნ. რუბლზე მეტი, ასევე რესპუბლიკური გაერთიანება „საქტყექაღალდბითუმვაჭრობის“ 1993 წლის 3 თებერვლის წერილის საფუძველზე ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ ქ.სარანსკში ღირებულების წინასწარი ჩარიცხვის გარეშე გადატვირთულ იქნა 1,69 მლნ. მანეთის პროდუქცია. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ კონტრაქტის საფუძველზე ფირმა „სლოვენსკე ჟელეზარნეს“ (იუგოსლავია) მისამართზე გადატვირთული 1514,9 ტონა სილიკომანგანუმის ღირებულებიდან — (636,268 აშშ დოლარიდან) განაუნაღდებელია 336,268 აშშ დოლარი; ამერიკული ფირმა „იუსსუ ინტერნაციონალ გრუპინკ“-ზე გადატვირთული 3000 ტონა სილიკომანგანუმის ღირებულებიდან — 1,26 მლნ. აშშ დოლარიდან 837,0 ათასი აშშ დოლარი აუნაზღაურებელია, ხოლო აღნიშნული ფირმა გამოცხადებულია ბანკროტად. უფრო მეტიც, მას არასოდეს უწარმოებია ლითონების ყიდვა-გაყიდვა. ფირმის საქმიანობის სფეროში შედიოდა გასართობი პროგრამების შექმნა და მუსიკალური ფირფიტების გამოშვება. მას არ გააჩნია არავითარი ქონება, რაც ფაქტიურად უიმედოს ხდის აღნიშნული თანხის ამოღების შესაძლებლობას. გაერთიანება „ცვეტმეტექსპორტის“ სახელით საზღვარგარეთ გადატვირთული 4124,5 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 11300 ტონა სილიკომანგანუმის ანაზღაურება სრულად არ მომხდარა და „ცვეტმეტექსპორტის“ დავალიანება ქარხნის მიმართ 227745 აშშ დოლარის ოდენობით აუნაზღაურებელი დარჩა. ქარხნის მიმართ ვალებშია თურქეთის ფირმა „კავკაზლიგოლი“ (296000 აშშ დოლარი), ამერიკული ფირმა „მინერალტრაიდინგკორპორეინშ“-ი (25062 აშშ დოლარი), ისრაელის ფირმა „ლევ ჯი ეჯინსი“ (37100 აშშ დოლარი), თურქეთის ფირმა „სოვტური“ (1,51 მლნ აშშ დოლარი) და ა.შ. სულ 1994 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენდა 3,416 მლნ. აშშ დოლარს.

სგ „აზოტის“ მიერ შემოწმების პერიოდისათვის საზღვარგარეთ გადატვირთული 4,25 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქციიდან აუნაზღაურებელი იყო 1,42 მლნ დოლარი (34 %). იმავე სგ „აზოტის“ მიერ ფირმა „გლობოექსპრესზე“ (ქ.თბილისი) 1993 წლის სექტემბერ-ნოემბერში გაცემული 10 021 ტონა ამონიუმის გვარჯილის ღირებულება 10 მლრდი კუპონი საწარმოო გაერთიანების ანგარიშზე ჩაირიცხა 6 თვის დაგვიანებით 1994 წლის აპრილში. ასევე 1993 წლის იანვარში ბათუმის კომერციული ფირმა „კონტინენტალის“ მისამართზე გადატვირთული 1372 ტონა ამონიუმის გვარჯილის ღირებულების თანხა 16,3 მლნ.. მანეთი გაერთიანებას ჩაერიცხა 5 თვის დაგვიანებით. სახსრების დაგვიანებით ჩარიცხვის, ინფლაციური პროცესების ზეგავლენისა და პროდუქციის ფასების ზრდის გამო საწარმოო გაერთიანებამ და საერთოდ რესპუბლიკამ მილიონობით აშშ დოლარი იზარალა.

თბილისის უქსოვადი საფეიქრო ქსოვილებისა და ნაწარმის ფაბრიკის მიერ 1992 წლის ივნისსა და ოქტომბერში ქ.შახტის ფეხსაცმელების ფაბრიკისათვის გადატვირთული პროდუქციის ღირებულება 1165361 მანეთი ფაბრიკის სალაროში შეტანილი იქნა მხოლოდ 1993 წლის აგვისტოში.

ფოთის გემთსაშენი ქარხნის მიერ 1990—94 წლებში რესპუბლიკის გარეთ რეალიზებულია 17 თბომავალი „კოლხიდა“, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 22,22 მლნ. აშშ დოლარს, საიდანაც 1995 წლის 1 ივლისის მდგომარეობით აუნაზღაურებელი იყო 9,334 მლნ. აშშ დოლარი.

თბილისის ჩარხმშენებელი საწარმოო გაერთიანების მიერ 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მაღაზია „ჩარხმშენებელზე“ (რომელიც ცალკე იურიდიული პირია) გაცემული 20 ერთეული ჩარხის ღირებულება 772 მლნ. კუპონი ქარხნის ანგარიშზე ჩარიცხული იქნა 1994 წლის მარტში, იმ დროს, როცა აღნიშნული თანხა მხოლოდ ორი ჩარხის ღირებულებას წარმოადგენდა. ასეთივე ოპერაციების შედეგად ფირმა „ცქრიალას“ არ აუნაზღაურებია 68 მლნ. კუპონი, ფირმა „ნიპეას“ 80 მლნ. კუპონი, მცირე საწარმო „დურგალს“ — 30 მლნ კუპონი და ა.შ.

მასობრივი ხასიათი მიიღო სახელმწიფო და უფროებრივ ინტერესების ეკონომიკურ-ეკონომიკურ შემთხვევებში წარმოება-ორგანიზაციებმა ასევე გორგებებს ახდენენ, რომლებშიაც წინასწარ განსაზღვრულია ფინანსური ზარალი. სახელმწიფო დეპარტამენტ „საქენერგოს“ შემოწმებისას გაირკვა, რომ დეპარტამენტის მიერ განხორციელებულია ისეთი გარიგებები, რომლებსაც დიდი ფინანსური ზარალი მოაქვს თვით ამ უწყებისათვის. შემოწმებით გამოვლენილია ფინანსური სახსრების არამიზნობრივი და უყაირათო ხარჯვის ფაქტები. სამი წლის წინ, 1992 წლის აპრილში შექმნილია კომერციული ბანკი „ენერგობანკი“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია დეპარტამენტი. ბანკი განთავსებულია დეპარტამენტის შენობაში. მის რემონტსა და კეთილმოწყობაზე „საქენერგომ“ 1992 წელს 5234 ათ. მანეთი გაიღო. სხვადასხვა პერიოდში, 1993 წლის ივლისის ჩათვლით დეპარტამენტის მიერ ბანკის ანგარიშზე ჩარიცხულია 190 მლნ. მანეთი (საპაიო შენატანების სახით, აგრეთვე ბანკის ფინანსური გაჯანსაღების მიზნით). **ამავე დროს კი „საქენერგოს“ აღნიშნული ბანკისაგან არავითარი შემოსავლები მიუღია არც დივიდენდის, და არც დაკავებული ფართის საიჯარო გადასახადის ან სხვა სახით. ეს იმ დროს, როდესაც „საქენერგო“ მწვავე ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ** 1992—94 წლებში დეპარტამენტი ზარალიანია, 1993 წლის სექტემბერში კორპორაცია „მაგისტრალისაგან“ 656 მლნ. კუპონად შეძენილია ბაკურიანში დასასვენებელი სახლი „ფიფქია“, **ეს მაშინ, როდესაც დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება მრავალი დასასვენებელი სახლი და კულტურულ-გამაჯანსაღებელი კერა,** რომელთაგან ნაწილების შესაძენად რესპუბლიკის მთავრობამ „საქენერგოს“ უფლება მისცა, გაეტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. 1992 წლის ოქტომბერში ამ მიზნით თბილისის ჩაის ფაბრიკიდან 420 სთ. მანეთად ნაყიდი 3 ტონა ჩაი 1994 წლის მარტში მიეყიდა ფირმა „ლინდას“ 94032 ათ. კუპონად, რითაც მარტო ამ ოპერაციით „საქენერგომ“ 143,3 მლნ კუპონი იზარალა. ანალოგიურად, 1993 წლის ივნისში ჩოხატაურის №1, №2 და №3 ჩაის ფაბრიკებიდან ბარტერული გაცვლისათვის შეძენილ იქნა 228 მლნ. კუპონის ღირებულების 84 ტონა ჩაი, დიდიჭყონის ჩაის ფაბრიკიდან — 67 ტონა ჩაი 54 მლნ. კუპონად. 1994 წელს ჩოხატაურის ფაბრიკებიდან ნაყიდი ჩაი მიეყიდა ფირმა „ტეტრაბორს“, 54 მლნ. კუპონად. ამ ოპერაციით „საქენერგომ“ იზარალა (პირობითად 128 000 მლნ. კუპონი) და არც ბარტერული გაცვლა არ განხორციელებულა. რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ 1993 წლის ივნისსა და ოქტომბერში, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურად, კომერციულ-საშუამავლო ფირმა „ალიანსის“ ანგარიშზე ჩარიცხელია ქ.მოსკოვში 964209 ათ რუბლი. ამ თანხიდან საქენერგოს მიერ შეძენილია 62418 ათ.რუბლის 5 ავტომანქანა (სამი გაზ-31—029 მარკისა და ორი „ნივა“) და ვიდეოპარატურა. ამავე პერიოდში დეპარტამენტის მიერ პრივატიზებულია 12 მსუბუქი ავტომანქანა (მათ შორის ერთი გაზ-31—029 და ორი გაზ-24 მა-

გაგრძელება მე-3 გვ

ძვირფასო მკითხველო, ჩემს საწერ მაგიდაზე დევს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბ-ნ რევაზ შავიშვილის მიერ ძველი პარლამენტისათვის გადაცემული ანგარიში იმისა, თუ რა იკვლია და რა დაადგინა ამ უწყების მუშაობამ.

წიგნად შეკრული ანგარიშის თავფურცელზე წერია:

„საქართველოს პარლამენტს
პატივცემულო დეპუტატებო,
საქართველოს კონტროლის პალატა
წარმოგიდგენთ 1994 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს
გთხოვთ, განიხილოთ.
პატივისცემით, რევაზ შავიშვილი
პალატის თავმჯდომარე“

არ მახსოვს, ეს დოკუმენტი ვინმეს განეხილოს. იგი შემთხვევით აღმოჩნდა ჩემს ხელთ და ნეტავ თვალით არ მენახა. ეს არის საშინელი პანორამა იმისა, თუ როგორ ჰაიჰარად ყიდეს და ყიდიან საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს სახელმწიფო ქონების გამგებელი ადამიანები, მაღალი თანამდებობის პირები ... გაჭირვებული „საქენერგო“ ფულს და ელექტროენერგიას თურმე სხვა ქვეყნებში არიგებს, ასევე სხვა წარმოებებსაც იმდენი ფულადი და მატერიალური ქონება გაუგზავნიათ უცხო ქვეყნებში და ისე დაალევინეს ამ ქონებას ჩაილურის წყალი, რომ ვგონებ სამართალი რომ იყოს იმ უცხო ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ჩვენი ვალი და არა ჩვენ მათი...

დანარჩენი იხილეთ ტექსტში

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მე-2 გვერდიდან

რკისა). ნაყიდი 5 ავტომანქანიდან ერთი (გაზ-31—029) გადაეცა მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობას, ერთი „ნიკა“ გაყიდულია ს/გ „საქქაღალდმრეწვზე, მეორე „ნივა“ უსასყიდლოდ გადაეცა ასოციაცია „ენერგიაპროგრესს“. დეპარტამენტ „საქენერგოს“ შიდა ქართლის ელექტროქსელების სამსახურის მიერ 1993 წლის ოქტომბერში ფირმა „ზეცას“ სესხის სახით გადაერიცხა 50 მლნ. კუპონი, დეკემბერში, გაერთიანება „დილას“ ასევე სესხის სახით ჩაერიცხა 70 მლნ. კუპონი, მაშინ როცა თვით „საქენერგოს“ სისტემა მძიმე ფინანსურ სიძნელეებს განიცდის.

საკუთარი ინტერესების იგნორირებით არის გაფორმებული ხელშეკრულებები რუსთავის სგ „აზოტის“ მიერ. კერძოდ, ფირმა „მს“-თან 1993 წლის ოქტომბერში გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ იქნა პროდუქტის შესაძლო გაძვირებისა და ინფლაციის პირობები, რომელთა ტენდენციაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მკაფიოდ გამოკვეთილი იყო.

ტენდენციად ჩამოყალიბდა დაუსაბუთებლად დაბალ ფასებში არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე პროდუქციის რეალიზაცია. კერძოდ, სგ „აზოტის“ მიერ ფირმა „გლობოექსპრესს“ ერთი ტონა ამონიუმის გვარჯილა მიეწოდა დაახლოებით 2 დოლარად, მაშინ როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთი ტონა პროდუქციის მიწოდებას 50 დოლარად. ზუგდიდის შპს „ეგრისს“ 1992 წელს რუსთავის ს/გ „აზოტმა“ გადაუტვირთა 2146,5 ტონა ამონიუმის გვარჯილა, ერთი ტონა დაახლოებით 26 აშშ დოლარად, მაშინ როცა ამ პერიოდისათვის 1 ტონა ამონიუმის გვარჯილის ფასი საშუალოდ 65-70 აშშ დოლარს შეადგენდა.

ანალოგიური დარღვევები გამოვლინდა თბილისის ჩარხმშენებელ საწარმოო გაერთიანებაში, სადაც 1993 წლის მარტში ფირმა „იმპექსზე“ რეალიზებულია 21 ჩარხი, თითოეული, ნაცვლად 700 ათ.მანეთისა, 615 ათ.მანეთად. საბროკერო ფირმა 038/2-ზე რეალიზებულია 24 ჩარხი 415 ათ. მანეთად, ნაცვლად 1200 ათ. მანეთისა და ა.შ.

ფოთის გემთსაშენი ქარხნის მიერ კერძო სტრუქტურებზე რეალიზებულია რესპუბლიკაში უაღრესად დეფიციტური და ძვირადღირებული მასალები. ალუმინის ფურცლოვანი მასალა 3 ტონა ღირებულებით 400 ათ. კუპონი, ფოლადის ბაგირი 28 ათ. გრძივი მეტრი ღირებულებით 1მ. 0,6 მანეთი, ტუმბო 4 ცალი (1 ცალი 28 ათ. კუპონად) და ა.შ.

ტყიბულის „საქნახშირის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიერ რეალიზებულია კერძო პირებსა და ფირმებზე 60 ტონამდე არმატურა საშუალოდ 1 ტონა 1 მლნ კუპონად.

დეპარტამენტ „საქენერგოს“ მიერ 1993 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით სომხეთის ენერგოსისტემაზე გაუმართლებლად დაბალ ფასებში მიწოდებულია 1673768 ათ. მანეთის 122,4 მლნ. კვტ. სთ. ელექტროენერგია (1 მაისამდე სომხეთის მხარეს უნდა გადაეხადა 10 მანეთი 1 კვტ. სთ. ენერგიაში, ხოლო 1 მაისის შემდეგ 13 მანეთი). აღსანიშნავია, რომ 1993 წლის განმავლობაში „აზენერგოდან“ მოწოდებულ 1 კვტ. სთ. ენერგიაში „საქენერგოს“ უნდა გადაეხადა 4,3 ცენტი, რამაც 1993 წლის აპრილის თვეში 18 რუსული მანეთი შეადგინა, ხოლო დეკემბერში — 50 მანეთი. აღნიშნული გარიგებებით „საქენერგომ“ 1123,2 მლნ რუბლი იზარალა.

პარლამენტი

გმადლობთ, ბოდიშ!..

7 მარტს პარლამენტის სხდომაზე ერთ კურიოზულ ფაქტს ჰქონდა ადგილი. პარლამენტის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას ერთი მოსმენით მიეღოთ ბიუჯეტის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა და პარლამენტმა ეს წინადადება მიიღო. ფინანსთუფროსმა რატომღაც იფიქრა, რომ უკვე კანონში ცვლილებების შეტანას ეყარა კენჭი და გაბადრულმა დიდი მადლობა შესწირა პარლამენტარებს მხარდაჭერისათვის...

არადა თვით კანონის შესახებ ჯერ კენჭი ნაყარი არ იყო, რამაც პარლამენტართა გაღიზიანება და ხმაური გამოიწვია.

კურიოზი ამით არ დასრულებულა.

ბიუჯეტის კანონში ცვლილებებსა და დამატებებს როცა ეყარა კენჭი, პარლამენტის თავმჯდომარის სურვილის მიუხედავად, გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. ახალი პარლამენტის მუშაობის სტილისათვის კი ჯერ-ჯერობით ესეც კურიოზად უნდა მივიჩნიოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელად სტალინით ვაჭრობა...

5 მარტს 43 წელი გავიდა სტალინის გარდაცვალებიდან. მოსკოვში დღის 11 საათზე ალექსანდროვის ბაღიდან მავზოლეუმისაკენ გაემართა წითელი მიხაკებით გულდამშვენებული ხანშიშესული ხალხი. როდესაც ისინი ხუთ-ექვს კაციან რიგებად დალაგდნენ, საკმაოდ შთამბეჭდავი კოლონა წარმოიქმნა. ბევრს ხელში ბელადის ფერადი სურათები ეჭირა: სტალინი და მესამეკლასელი გოგონა, სტალინი და პიონერი.

კოლონას საკმეველის ფრქვევით წინ მღვდელი მოუძღვოდა. თანამოაზრენი ნელა მიუახლოვდნენ საფლავს. დადეს ორი გვირგვინი და ბორცვი ყვავილებით შეამკეს. ბევრი არაფერი თქმულა, მხოლოდ იმას ჩიოდნენ, რომ სტალინი დაუმსახურებლად გაუშავეს და რომ მის დროს ძალიან კარგი ცხოვრება იყო.

მოსეირნე ტურისტები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ვასილ ნეტარის ტაძარს და პროცესიას ჩირადაც არ აგდებდნენ. სტალინისტები ზრდილობის გულისათვის ნახევარ საათს გაჩერდნენ და იმ იმედით დაიშალნენ, რომ 17.00 საათზე მიტინგზე შეიკრიბებოდნენ. მოედანზე რამდენიმე აქტიური ქალი დარჩა, რომლებიც სტალინის სურათიან კალენდრებს 5000 მანეთად ჰყიდდნენ. ბელადით ვაჭრობა უღიმღამოდ მიმდინარეობდა, ამიტომ მალე შეწყდა კი-

გარეზგავენ თუ არა ქალებს 8 მარტის შემდეგ?

მოტყუებულ მეუღლეს, რომელმაც წაასწრო ცოლს, შეუძლია შემცდენელის ადგილზე ლიკვიდაცია...

ისლამური რელიგიის გამარჯვების შემდეგ ირანი მონოლითურ სახელმწიფოდ იქცა, სადაც ყველა მოქალაქე ერთი მიზნისაკენ მიიწევს და ერთიან მტერს ებრძვის. მაგრამ ის, რაც ხდება მეჯლისში (ირანის პარლამენტი) არჩევნების წინ, პირწმინდად აცამტვერებს გავრცელებულ აზრს.

ირანის პოლიტიკურ ოლიმპზე არ არის ტრადიციული ბრძოლა მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის. აქ ერთმანეთს ეწინააღმდეგება ორი მძლავრი დაჯგუფება „ტექნოკრატები“ და „ტრადიციონალისტები“. ერთიც და მეორეც გამოვიდნენ წინა არჩევნების დროს ხელისუფლების სათავეში მოსულ „მებრძოლი სასულიერო საზოგადოებიდან“. „ტექნოკრატები“, რომლებიც თავიანთ ჯგუფს „შემოქმედის მსახურებს“ უწოდებენ, მოუწოდებენ დასავლეთის ნიმუშის მიხედვით ინდუსტრიის განვითარებას. (მათ ქვეყნის პრეზიდენტი ჰაშემი — რაფსანჯანი უჭერს მხარს). „ტრადიციონალისტები“, რომელთაც მეჯლისის თავმჯდომარე ალი აკბარ ნათეკომ-ნური ხელმძღვანელობს, აღმოსავლური ბაზრის კატეგორიებით აზროვნებენ — ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით...

არჩევნებზე ლიბერალური წყობის კიდევ ერთი ძალა გამოჩნდება — „მოძრაობა ირანის გასათავისუფლებლად“. მიგ-ი თვლის, რომ ყველა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა და პარტიებმა უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, ჰომეინის პერიოდის არჩევნების დროს ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

ირანის პოლიტიკური პალიტრა სამფერი სულაც არ არის. აქ არიან განდევნილები. არიან მიწისქვეშა დაჯგუფებები. მათ ეკუთვნით, მაგალითად, „ირანელი ხალხის მოჯახედების ორგანიზაცია“, ისლამურ-მარქსისტული ორგანიზაცია, „ირანელი ხალხის ფედაინები“, ტუდეს კომუნისტური პარტია, ნაციონალისტური ნაციონალური ფრონტი, ქურთების დემოკრატიული პარტია...

ჯერ — პარლამენტურ, ხოლო შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებს საკმაოდ შეუძლიათ ქვეყნის სახის შეცვლა. „ტექნოკრატების“ გამარჯვების შემთხვევაში ისლამური სახელმწიფო შეიძლება უფრო გახსნილი გახდეს. და მაინც... არ უნდა დავივიწყოთ, რომ დემოკრატიზაცია ამ ქვეყანაში ადგილობრივი კანონების მიხედვით მიმდინარეობს, ამიტომ რეჟიმის მომავალ კრახზე მსჯელობა ბლეფია.

ზედმეტი არაა, გავიხსენოთ, რომ ირანის მოქალაქეები, რომელთაც სურვილი აქვთ მეჯლისის არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენონ, უნდა აკმაყოფილებდნენ შვიდ მოთხოვნას, კანდიდატ მოვალეა იყოს მართლმორწმუნე, ასრულებდეს ყველა რელიგიურ წესს, აგრეთვე... მხარს უნდა უჭერდეს მომქმედ რეჟიმს, კონსტიტუციას და „ველაიატე ფაკიხ“-ის პრინციპებს, ანუ შიიტური სასულიერო პირების უმაღლეს ხელისუფლებას. კანდიდატების განაცხადების გარჩევით დაკავებულია დამკვირვებელი საბჭო, რომელსაც შეუძლია გაცხრილოს ის ხალხი, ვინც არ არის ღირსი ატაროს პარლამენტარის სახელი. ძნელი არაა, მიხვდე, რომ ამ სისტემის მიხედვით აკრძალული კი არა, ლეგალური ოპოზიციური პარტია ვერ მიუახლოვდება მეჯლისს.

მაგრამ მმართველ ისლამურ ხელმძღვანელობაში ბუნებრივი წინასაარჩევნო შეხლა-შემოხლა მაინც არ ეამა ისლამური რევოლუციის ლიდერ აიათოლა ალი პამენეის. მისი კრედოა: მთელს მსოფლიოს აჩვენოს, რომ „შინაბრძოლა არის, მაგრამ საახელმწიფოს სიმტკიცე შეურყეველი რჩება“. თითქოს ამ აზრის დასამტკიცებლად ირანის მეჯლისმა მიიღო შარიატის კანონებზე დაყრდნობილი ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც თავის უმაღლეს ამოცანად რეჟიმის კონსერვაციას ისახავს.

მაგალითად, კანონი განიხილავს უმაღლეს სასჯელს თანამდებობის პირთათვის, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი 1989 წელს გარდაცვლილი ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელ იმამ ჰომეინისა და მის მემკვიდრე ალი ჰამენეის მიმართ. სახელმწიფო უშიშროების მიზნით აკრძალულია ნებისმიერი თავყრილობა, ირანსა და საზღვარგარეთ, სადაც არის ორ კაცზე მეტი. რეჟიმის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის გათვალისწინებულია ციხე.

კანონმდებლობამ უყურადღებოდ არც სუსტი სქესი დატოვა. ქალებს, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში უჩადროდ გამოჩნდებიან, ემუქრებათ ორთვიანი პატიმრობა ან 74 დარტყმა.

ადამიანებმა, რომელთაც ბრალად დაედებათ „კორუფციისა და პროსტიტუციის ცენტრის [illegible]ექმნა“, უნდა გადაიხადონ ჯარიმა და აგრეთვე მიიღონ 74 დარტყმა. ცოლქმრული ღალატი, რომელიც დამტკიცებულია, როგორც მინიმუმ, სამი მოწმით, ისჯება სიკვდილით — დამნაშავეს ქვებით ქოლავენ. ხოლო მოტყუებულ მეუღლეს, რომელმაც წაასწრო ცოლს დანაშაულზე, ადგილზე შეუძლია შემცდენელის მოკვლა. არის კიდევ ერთი „დემოკრატიული“ პუნქტი, რომელიც ღაღადებს: „არაკანონიერი კავშირი ქალსა და კაცს შორის, რომელიც არ მისულა ცოლქმრულ ღალატამდე, ისჯება 99 დარტყმით...“

რაღაა ეი ქვეყნის ამრევი „ტექნოკრატები“ ეჭვქვეშ არ აყენებენ არც მომქმედ ხელისუფლებას, არც კონსტიტუციას და არც შუასაუკუნეობრივ „ახალ“ სისხლის სამართლის კოდექსს, ამიტომ შესაძლო ვესტერნიზაციაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ეკონომიკასთან და შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს უკვე ცოტა არ არის. ჯერ მარტო „ტექნოკრატების“ მრავალპარტიულ სისტემის შემოღებაზე ლოზუნგი რად ღირს. ასე რომ, ირანში „დემოკრატიის აჩრდილის“ გამოჩენის შესახებ ჰორები გადაჭარბებულია.

ქალებს, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში უჩადროდ გამოჩნდებიან, ემუქრებათ 2 თვიანი პატიმრობა ან 74 დარტყმა...

სად არიან ყოფილი დეპუტატები?



უცნაურად წარიმართა ამ კაცის ბედი.

ჯერ ზვიადთან ერთად იყო, შემდეგ მის ოპოზიციაში.

გამსახურდიას ხელისუფლებამ პირველი თემურ ჟორჟოლიანი დააპატიმრა...

შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ თ.ჟორჟოლიანი მისი აქტიური მხარდამჭერი იყო და 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებში კენჭი სწორედ ბლოკ „მშვიდობიდან" იყარა.

გარკვეული დროის შემდეგ იგი უკვე შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით შიმშილობდა პარლამენტის შენობის წინ. მაშინ შიმშილობამ იმდენად დაასუსტა, რომ მტერიც და მოყვარეც შიმშილობის შეწყვეტას სთხოვდა, ვინაიდან სიცოცხლეს იგდებდა საფრთხეში...

ახლაც უკიდურესად მძიმე დღეშია. 35 კილო დაუკლია ამ ისედაც ფიზიკურად სუსტი აღნაგობის კაცს. ოღონდ არა პარლამენტის წინ, არამედ ციხეში.

თემურ ჟორჟოლიანი სწორედ არჩევნების წინა დღეებში დააპატიმრეს...

ყოფილი დეპუტატის ბედის შესახებ გავესაუბრეთ მის დას. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

ცაცო ჟორჟოლიანი:

„თემურის დაჭერა იყო ბანდიტური ქმედება...“

ინტერვიუ მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე ბ-ნ თეიმურაზ ჟორჟოლიანის დასთან, ქ-ნ ც. ჟორჟოლიანთან

— როგორ გრძნობს თავს თქვენი ძმა?

— ჯანმრთელობის მხრივ ცუდად, აწუხებს იშემიური დაავადება, პროქიზმული ტახიკარდია, სტენოკარდიული შეტევები. აწუხებს თირკმელები, ექსპერტიზის დასკვნით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ამ პირობებში ყოფნა, იგი სასწრაფოდ უნდა იქნას გადაყვანილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რის საშუალებასაც ჩვენ არ გვაძლევენ. აღვნიშნავ, რომ თემურმა ამ ხნის განმავლობაში 35 კილო დაიკლო.

— თუ ნახულობთ მას?

— ოჯახის წევრებს უფლება გვაქვს, რომ ვინახულოთ თვეში ერთხელ. 3 მარტს ჩემს ძმას მესამე შვილიშვილი შეეძინა. მოგეხსენებათ, რომ თემურს ჰყავს შვიდი შვილი, უმცროსი თემურის დაჭერის შემდეგ დაიბადა და ციხეში ვაჩვენეთ.

— სად არიან ამჟამად მისი მეუღლე და შვილები?

— მეუღლე და შვილები არიან თავისივე სახლში.

— რა ბრალდებით იქნა თ.ჟორჟოლიანი დაპატიმრებული?

— თემურს ბრალად სდებენ, თითქოს მას აყვანის მომენტში ჯიბეში აღმოაჩნდა ნარკოტიკები, თითქოს მას თავისივე სახლის ეზოში დამალული ჰქონდა რამოდენიმე ცალი ავტომატი და თითქოს თემურმა დასჭრა მილიციელი.

— თქვენ რას გვეტყოდით ამ ბრალდებებზე?

— ხუთი თვეა რაც ჩემი ძმის საქმეს იძიებენ. რაღაცას აკონწყნენ, რომ ბრალი დასდონ. თემურის დაჭერა იყო ბანდიტური ქმედება, ეს იყო წინასაარჩევნო დღეებში. ჯერ რა უფლება ჰქონდათ იმ პოლიციელებს, რომელთაც ფორმაც კი არ ეცვათ, რომ თემური დაეჭირათ, როცა გენერალური პროკურორის მიერ სანქცია — დაპატიმრების შესახებ არც ყოფილა გაცემული? აყვანის მომენტში მას ჯიბეში ჩაუდეს ორი მორფის ამპულა, ნახმარი სისხლშემხმარი შპრიცი. ჩვენ ვიცით როგორ და რა გზით აღმოჩნდა ჯიბეში ეს ყველაფერი.

— ეს, რაც შეეხება ნარკოტიკებს, რას იტყოდით გადამალულ იარაღზე და პოლიციელის დაჭრაზე?

— მე ვიტყოდი, რომ ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება. თემურს შესთავაზეს გარიგებანი, რომ ნაწილობრივ მაინც ეღიარებინა თავისი დანშაული. ისინი ცდილობენ, რომ როგორმე მიატმასნონ ეს ბრალდება, უნდა ითქვას, რომ ტყეულზე სახელმწიფოს აშენება არ მოხდება. ჩვენ არ შევეგებით შექმნილ მდგომარეობას. საქართველო დღეს ფანდარმების ქვეყანა. მას არ ეღირება ეროვნული და სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა.

რაც შეეხება იარაღს, მოგეხსენებათ, რომ თემური ცხოვრობს აეროპორტის დასახლებაში, მისი ეზოს ჭიშკართან არის რაღაც ორმო, რომელიც ასე ვთქვათ, ნაგვის ორმოა და სწორედ ამ ორმოში, ზემოდან გაკეთებულ თეთრ ტომარაში აღმოაჩინეს ავტომატები. ჯერ გახსნილიც არ იყო ტომარა, რომ დაიწყეს ყვირილი: „აკაესია აკაესიაო". ამ ავტომატებს აღმოჩნდა, რომ ნომრები არ ჰქონდა.

აყვანის მომენტიდანვე თემურმა მოითხოვა ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნით, ჩემს ძმას ვერ დაუმტკიცეს ვერაფერი. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მას ჯიბეში აღმოაჩნდა ერთი წლის წინ ნახმარი შპრიცი. იურისტები თვლიან, რომ სასამართლო ამ ბრალდებას არ მიიღებს. თანაც თემურს არც ერთ ბრალდებაზე ხელი არ მოუწერია.

დაკავატებდი ერთსაც. 1989 წლის 4 აპრილს უნივერსიტეტის წინ შეიკრიბა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. იქ იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მე და თემური ჩვენი მანქანით ვიყავით გასულები. საღამოს ექვს საათზე მოცვივდნენ უფორმო მილიციელები და თემური წაიყვანეს. ამ მომენტში ჩვენ მანქანაში გვყავდა ბატონი ეროზან მაჭავარიანი. მაშინაც ეს მოუდეს შარად ჩემს ძმას თითქოს მანქანაში მილიციელი დაჭრა, რა თქმა უნდა ტყეული იყო და იმავე საღამოს გამოუშვეს. გამსახურდიას დროშიც მისი დაპატიმრებისას ისევ მანქანა ფიგურირებდა, თითქოს მანქანის საბარგულში ხელყუმბარა იპოვეს. მოკლედ ინცინდენტების მოწყობა ჩვენს ოჯახს არ აკლდა...

— გარეცელებული იყო ხმა თითქოს თ.ჟორჟოლიანი ნათესავია ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის დვალიშვილისა. თითქოს მას ღრმის წილი აქვს ბანკების გაკოტრების საქმეში.

— ორი წელია მიმდინარეობს თემურის ყოველმხრივი შემოწმება. თუკი ვინმეს როდესმე რაიმე გადმონარიცხი თანხა მიუთვისებია, ყველაფერს თემურს აბრალებენ. ისინი ცდილობენ, როგორმე მიატმასნონ მას ეს ბრალდება. რომელი ერთი დეპუტატი ცხოვრობს აეროპორტის დასახლებაში? თვით რევიზორებიც კი უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ...

— თუ მიმართეთ ყოველივე ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტს?

— ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ. მორალურად თემური არის ძალიან ძლიერი, მიუხედავად იმისა, რომ მას ფიზიკურად ანადგურებენ. პრეზიდენტს არ შევხვედრივარ. თხოვნით ამ კაცთან მისვლას არ ვაპირებ, მე დარწმუნებული ვარ ჩემი ძმის სიმართლეში. მე ვამაყობ, რომ ასეთი ძმა მყავს. იგი მაშინაც კი არ გაჩუმებულა, როდესაც ძალიან ბევრმა პოლიტიკურმა მოღვაწემ თავი დანება ეროვნულ მოძრაობას და ახდენენ ხალხის დამონებას და დეგრადირებას. ხელისუფლებამ თემურისგან მტრის სახე შეაქმნა და კრიჭაში ჩაუდგა.

— გჯერათ, რომ გაიმართჯვებთ?

— მე ყოველთვის ოპტიმისტად ვითვლებოდი. ცხოვრება ბრძოლაა შენი სიმართლის გასატანად... ან უნდა სთქვა შენი სიტყვა, ან უსამართლო ცხოვრება გასწიო. ჩვენ ყოველთვის ნათელ მხარეს ვიქნებით, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს. თქვენს გაზეთს „საქართველო" კითხულობს მხოლოდ ის ხალხი, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული საქართველოზე. ხოლო „საქართველოს" მკითხველს ჯუსურვებ მოეკრიბოს მოთმინება, რამეთუ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა დღეს იწყება და რაც მთავარია, სიმართლის ნურასოდეს შეეშინდება.

P.S. ჩვენს საუბარს ესწრებოდა თეიმურაზ ჟორჟოლიანის დედა ქალბატონი ელენე. ჩემი იქ ყოფნის მომენტში ქ-ნი ელენე ჩემს გვერდით იდგა და თვალცრემლიანი ამბობდა: „ჩემი შვილი უაღრესად კეთილი და პატიოსანი კაცია. ეს რა გაუკეთეს ჩემს შვილს? ჩემთვის იგი ყველაფერია, ნეტავ ცოცხალი მაინც დავხვდებოდე".

ნანა ჩეგბიანი

საქართველოს მიწის ბედი

ნოდარ ნათაძე

მიწის პრივატიზაციის თემას დღევანდელი სამთავრობო პროპაგანდა იყენებს იმ მიზნით, რომ როგორც თქვენი მონა-მორჩილის, ისე ეროვნულად მოაზროვნე ადამიანების წინააღმდეგ საერთოდ კიდევ ერთი პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღოს — „შეხეთ, შეხეთ, გლეხისათვის მიწის მიცემა არ უნდათო". ეს ტყუილია. პირიქით. გლეხისთვის მიწის მიცემის თემა საქართველოს პოლიტიკაში სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ შემოტანილი თემაა. იგი პირველად სახალხო ფრონტმა აღძრა ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის დროს და ძალიან დიდი ბრძოლით იმას მიაღწია, რომ ადიგენში, ახალციხეში და ასპინძაში მიწა გლეხებზე დარიგდა. ამ სამი რაიონიდან ყველაზე დიდი წარმატება ამ დროს ადიგენის რაიონში იქნა მიღწეული. იქ მთელი მიწა გლეხობის ხელში გადავიდა.

დღევანდელი ჩემი პოზიციის გადმოსაცემად ასეთ შედარებას მოვიყვან. წარმოიდგინეთ, რომ აპენდიციტის ოპერაცია მაქვს გასაკეთებელი. იგი გასაკეთებელია აუცილებლად, რადგან ორგანიზმი მეწამლება და ადრე თუ გვიან აპენდიქი გამისკდება. მაგრამ თქვენ მთავაზობთ ოპერატორს, რომელსაც, ნამდვილად ვიცი, ჩემი მოკვლა უნდა და, ამასთანავე, უვიცია, ოპერაციის გაკეთება არ იცის. გავაკეთებინო მას ოპერაციაა? ალბათ, არა. მაგრამ თქვენ მაშინვე იტყვით: შეხედეთ, შეხედეთ, ოპერაცია არ უნდა, ნემსის ეშინიაო".

საქართველოსთვის მიწის საკუთრება აუცილებელია: მაგრამ იმ **კანონით,** რომელიც უპასუხისმგებლო, უნებო და არაკვალიფიციურმა პარლამენტმა უკვე მიიღო პირველი კითხვით, იმ უზომოდ ხარბი კორუმპირებული აპარატით, რომელიც დღეს საქართველოს მართავს და ამჯერად მიწის რეფორმის ჩატარება ევალება, და იმ ზოგადი ანტიქართული პოლიტიკური კურსის პირობებში, რომლითაც დღეს ჩვენი ქვეყანა მიდის, ეს აუცილებელი კომპლექსი — კანონი პლუს რეფორმა — საქართველოს ახალ კატასტროფას მოუტანს, უფრო კონკრეტულად ვიტყვი: საქართველოს მიწები გადავა არაქართველების (და ნაწილობრივ, არა საქართველოს მოქალაქეების) ხელში, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა შემცირდება მინიმუმ ერთი-სამად (რადგან სოფლის მეურნეობის ტექნოლოგია წინ მიდის) და ეს ადამიანები ქართველები არ იქნებიან (რადგან მიწის ახალ პატრონს ურჩევნია თავის მიწაზე თავისიანი ამუშაოს), ქართველი ერი მოსწყდება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მოხმარებას, არამედ მათ წარმოებასაც. რა შედეგები მოჰყვება ამას საქართველოს თავდაცვისუნარიანობისთვის, დემოგრაფიისთვის და ა.შ. ამაზე აქ აღარას მოგახსენებთ.

ახლა კონკრეტულად საქმეზე გადავიდეთ.

ჩემს სათქმელს სამ ნაწილად გავყოფ. პირველი, როგორია შემოთავაზებული კანონპროექტი და შესაბამისი აგრარული პოლიტიკა იურიდიული სისწორის, ლოგიკური გამართულობისა და თანმიმდევრულობის მხრივ? ხომ არ შეიცავს იგი შინაგან წინააღმდეგობებს და სხვა შეუსაბამობებს? (მეცნიერებაში ამგვარ მიდგომას „იმანენტური კრიტიკა" ანუ შინაგანი კრიტიკა ჰქვია). ამთავითვე ვიტყვი: ეს კანონი და ეს პოლიტიკა წინააღმდეგობებს შეიცავს და, ამგვარად, „დამაკმაყოფილებელზე" შეფასებას არ იმსახურებს.

მეორე. რა შედეგები მოჰყვება ამ კანონის მიღებას და ამ პოლიტიკას?

მესამე. როგორი უნდა იყოს აგრარული პოლიტიკა და მიწის კანონი?

I. შემოტანილი კანონპროექტი და დაგეგმილი პოლიტიკა თითქოს ემყარებიან თავისუფალი ანუ საბაზრო ეკონომიკის შექმნის მიზანს. მიწა გატანილ უნდა იქნას თავისუფალ ბაზარზე, ანუ ღია ბაზარზე, სადაც მონწილენი მხოლოდ მოგებას ეძებენ. სინამდვილეში მიწა ამ კანონის მიხედვით თავისუფალ ბაზარზე არ გადის. პირიქით, იგი გადის ბაზარზე, რომელზეც ეკონომიკური ინტერესები, ანუ მოგების სურვილი, მეორე და მესამეხარისხოვან როლს თამაშობს.

მართლაც, ვინ და ვინ არიან საქართველოს მიწის მყიდველნი დღეს? აი, მიახლოებით მათი ჩამონათვალი:

1. პატრიოტი ქართველი პოლიტიკოსი. მას გულით უნდა იყიდოს (და ქართველ გლეხს უყიდოს) მიწა, რათა საქართველოს მომავალ თაობებს დაუტოვოს იგი. მისი ფულადი რესურსია მისივე ხელფასი;

2. ქართველი გლეხი ან არაქართველი გლეხი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა. მისი ფულადი რესურსია წინა წლებში გაყიდული მოსავლით აღებული ფული;

3. მდიდარი უცხოელი, რომელიც მიწას თვითონ ვერ ყიდულობს (რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქეა), მაგრამ არაპირდაპირი გზებით (ერთობლივი საწარმოების გამოყენება და ა.შ.) მიწის მოპოვებას მაინც ახერხებს.

4. მსოფლიო ნარკომაფიები. მათ ჰსურთ ცრუმაგიერი პიროვნებების საშუალებით, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, შეიძინონ მიწა ნარკონავთიერებების მოსაყვანად პოლიციის სისუსტის იმედით. მათი ფულადი რესურსი პრაქტიკულად უსაზღვროა.

5. მსოფლიო (აღმოსავლური) ფუნდამენტალისტური ფონდები, რომელთაც უნდათ საქართველოს მიწა ხელთ ჰქონდეს საქართველოს მოსახლეობის ერთ ვარკვეულ კატეგორიას. მისი ფულადი რესურსიც პრაქტიკულად უსაზღვროა.

6. ჩვენი მეზობლების თანამემამულეთა კერძო ფონდები, რომელთაც უნდათ საქართველოს მიწა ჰქონდეს საქართველოს მოსახლეობის სხვა კატეგორიას. მათ ფულადი რესურსიც უსაზღვროა.

7. რუსეთის ორგანოები, რომლებიც ორიენტირებულია საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების დაკავებისაკენ. მათი ფულადი რესურსებიც ფაქტობრივად უდიდესია.

როგორც ვხედავთ, პოტენციური მყიდველების ამ შვიდ კატეგორიაში მხოლოდ სამია ისეთი, ვისაც ეკონომიკურ ჭიდაობაში საქართველოს მიწის მოპოვებისათვის მართლაც ეკონომიკური მიზანი აქვს. ესაა ჩვენი ჩამოთვლით მეორე კატეგორია (ქართველი გლეხი), მესამე კატეგორია (მდიდარი უცხოელი) და მეოთხე კატეგორია (ნარკომაფიები). დანარჩენ ოთხს არაეკონომიური მიზნები აქვთ სახელმძღვანელოდ. ამგვარად, კანონპროექტის ავტორებს საქართველოს მიწა გაჰქონთ არა თავისუფალ ბაზარში, არამედ ბრძოლის ველზე, სადაც მებრძოლთა შორის მხოლოდ ორია უიარაღოდ: პირველი (ქართველი პატრიოტი) და მეორე (ქართველი გლეხი).

ახლა ვიკითხოთ. თავისუფალი ეკონომიკის პრინციპითაა მართლაც აგებული **ბაზარში საქართველოს მიწის გატანის ის წესი,** რომელსაც კანონპროექტისა და დაგეგმილი პოლიტიკის ავტორები გვთავაზობენ? შემოთავაზებული წესი ასეთია: სახელმწიფო მიწას აძლევს გლეხს (უფასოდ). ხოლო გლეხი, თუკი მოისურვა, ყიდის მიწას. მაგრამ გაუგებარია: თუ სახელმწიფო საქართველოს მიწის გაყიდვის თანახმაა, რატომ არ ყიდის იგი მიწას თვითონ (და არ ავსებს ამით თავის ხაზინას), არამედ ყიდის მას ზემოხსენებული გლეხის ხელით (და თავის ხაზინას ცარიელს ტოვებს)? ცხადია, რომ მიწის გაყიდვის ეს წესი, რომელსაც კანონპროექტი გვთავაზობს, მისი თავისუფალი გაყიდვის წესი არ არის, იგი კიდევ სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით აგებული წესია. მაგრამ თუ ასეა, მაშინ რატომ არ ითვალისწინებს სახელმწიფო ყველაზე ღრმა არაეკონომიკურ ფაქტორს — ქალაქელ მოსახლეობაზე ზრუნვისას (მას არავინ არაფერს აძლევს და საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ინტერესზე ზრუნვისას სოციალური, დემოგრაფიული, გეოსტრატეგიული და სხვა მოსაზრებების გამო?

კიდევ ერთი აშკარა შეუსაბამობა (ტყუილი) კანონპროექტის და აგრარული პოლიტიკის მგეგმავთა პოლიტიკაში შემდეგია. ისინი მიწის საკუთრების კანონს პირდაპირ და ცალსახად უკავშირებენ მიწის რეფორმის ერთ კონკრეტულ სახეს სახელდობრ, განზრახული აქვთ იმ საკარმიდამოების გადაცემა საკუთრებაში, რაც დღეს დარიგებულია. („რაც გადავეცით უნერხულია, რომ არ დავუკანონოთო") მაგრამ თუ მიწის ნაკვეთის მიცემა იწვევდა აუცილებლობით მის საკუთრებაში გადაცემას, მაშინ რაღად გასცეს იგი არა თავისუფალი ეკონომიკის წესით (ანუ გაყიდვი

დასასრული მე-5 გვ.

მეოთხე გვერდიდან

საქართველოს მიწის ბედი

წესით), არამედ სოციალისტური წესით ანუ იმათთვის, ვისაც საჭიროება აქვს, დარიგების წესით? ხოლო თუ მიწის ნაკვეთის მიცემა არ იწვევს მის საკუთრებაში გადაცემის აუცილებლობას, მაშინ რა საფუძველს ემყარება მსჯელობა, რომ მისი საკუთრებაში არგადაცემა „უხერხულია"?

თავისუფალი ეკონომიკის წესი აბსოლუტურად მწყობრი და თანმიმდევრია. იგი ამბობს, რომ მიწა უნდა გაიცეს ისე, რომ მაქსიმალური მოგება მოიტანოს (ვარად გაიყიდოს და ა.შ.). სოციალისტური პრინციპიც თავისებურად მწყობრია. იგი ამბობს, რომ მიწა უნდა დარიგდეს, რათა დაკმაყოფილდეს ყველა, ვისაც იგი სჭირდება. ის წესი, რასაც გვთავაზობენ, არც თავისუფლებისაა, არც სოციალიზმის. იგი რაღაც ეკლექტიკური (ანუ ურთიერთშეუთავსებელი ელემენტებისაგან შეკოწიწებული) წესია, რომელშიც პოლიტიკანობის, ამომრჩევლის ხმებზე ნადირობის, დემაგოგიის, გარედან კარნახის და — რაც ამ ჩამონთვალში ყველაზე ნაკლები ცოდვა-მექრთამეობის ფაქტორები თამაშობენ თავ-თავის კუთვნილ როლს.

II. რა შედეგს მოიტანს კანონპროექტის მიღება

საქართველოში (მაქსიმალური დაანგარიშებით) სულ 800000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაა (სათიბებისა და საძოვრების გარდა). მოსახლეობა 5,5 მილიონია (ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული დროებითი ემიგრაცია მხედველობაში მიღებული არაა), არსებული დაანგარიშებით, ერთ სულ მოსახლეზე 0,14 ჰა მოდის. ეს ძალიან ცოტაა. **საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა.** „მცირემიწიანობაში" ის არ იგულისხმება, რომ 0,14 ჰა („თოთხმეტი მეასედი") ერთ სულს ვერ გამოკვებავს (გაჩნია, როგორ მოუვლით). იგულისხმება ის, რომ საქართველოს მიწის კარგად მოვლას მოსახლეობის ბევრად ნაკლები პროცენტის დასაქმება დასჭირდება, ვიდრე სხვა, უფრო მიწით მდიდარ ქვეყნებში სჭირდება. (ეს პროცენტი ყველგან მცირეა და განუხრელად მცირდება). დასჭირდება, მაქსიმუმ, ამის მეათედი და მეოცედი, ახლო მომავალში კიდევ უფრო ნაკლები. პერსპექტივაში საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩაბმული დარჩება, ალბათ, მოსახლეობის იგივე 2,5-4 პროცენტი, რაც განვითარებულ ქვეყნებშია ან ნაკლები. დანარჩენები? დანარჩენები გადაკვალიფიცირდებიან პროფესორებად, მინისტრებად, მედუქნე-მეჯიხურეებად, შოფრებად, რეკლამირებად, პოლიციელებად, ქურდებად, მეძავებად. ცხადია, განვითარებულ ქვეყნებში მეტნი გადაკვალიფიცირდებიან ბანკირებად და ნაკლებნი — მეძავებად, დთრგუნულ ქვეყნებში — პირიქით. მიწის ნაყოფიერება ამით არ იზარალებს. არც საერთაშორისო ფინანსურ და სხვა ეკონომიკურ ორგანიზაციებს ექნებათ უამაყოფილების მიზეზი. მაგრამ ვინ იქნება ის, ვინც იმ მიწისაგან მოცილებულთა რიცხვს შეავსებს, და ვინ იქნება დღევანდელ სოფლელთა ის ერთი მეათედი (ხოლო მომავალში — ერთი მეოცედი და კიდევ უფრო ნაკლები), ვინც მიწასთან დარჩება (ან ქალაქში წავა, მაგრამ მიწას შეინარჩუნებს)? ამ კითხვას არც კანონმდებლებში, არც მთავრობაში, არც ჩვენთვის მზრუნველი ზემოხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციების წიაღში არავინ სვამს. ცხადია, ადამიანთა უმრავლესობას ურჩევნია, მიწა არ დაკარგოს (პირიქით — მეტი და მეტი დაისაკუთროს): მიწისადმი (საერთოდ, სოფლისადმი) ალერგიით მოცულ პიროვნებათა რაოდენობა ვერ შეედრება იმათსას, ვისაც ზემოხსენებული პროცესის შედეგად მიწის დაკარგვა თავისდაუნებურად მოელის. ამგვარად, **გარდუვალია ადამიანთა (ოჯახთა, სოფელთა) უმწვავესი კონფლიქტი მიწის გამო,** ანუ ე.წ. აგრარული კონფლიქტი, რომელიც იწვევს ინდივიდუალური და ჯგუფური კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ყველაზე უწყალო სახეობაა. შეგახსენებთ სტატისტიკას: 1910-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში მკვლელობათა 50 %-ზე მეტი თურმე მოდიოდა კონფლიქტებზე ან მიჯნების გამო ან სარწყავი წყლის გადაგდებაგადმოგდების გამო (Сумбатов–Южин. В мощных обьятиях. М. 1919). სასოფლო-სამეურნეო მიწა დღეს სახელმწიფოს, ქვეყნის, ერის, ოჯახის, პიროვნების ძირითადი სიმდიდრეა და ერთადერთი სამარადისო სიმდიდრეა (ამატომაცაა, სხვათა შორის, რომ მისი საბაზრო ფასი განუხრელად იზრდება მთელ მსოფლიოში). ვისიცაა მიწა, იმისია ქვეყანა მისი საკვები ბაზითურთ, დასასვენებელი სივრცითურთ, სტრატეგიული სივრცითურთ და სახმარად გამოყენების ყველა სხვა შესაძლებლობებითურთ. მიწას ვერვინ წაიღებს ქვეყნიდან ზურგით. მაგრამ მიწის ფლობისაგან მიღებული სტაბილური სიმდიდრე და მიწის საკუთრებაზე დამყარებული

აი, ეს გახლავთ მოვლენათა განვითარების პერსპექტივა მიწის შემოთავაზებული კანონის და დაგეგმილი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ პერსპექტივა სწორედ ესაა და რომ იგი ერთადერთია, მზად გახლავართ დისკუსიისათვის ამ თემაზე. საკითხის სინათლისათვის შემიძლია ამთავითვე მოვახსენოთ მოკამათეს ის გარემოება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარი და 900-იანი წლები ქვემო ქართლში და ზემო ქართლში (აგრეთვე საქართველოს ზოგ სხვა რეგიონში) მიწათმფლობელობის სურათის შეცვლის გზით **ამ ტერიტორიების დექართველიზაციის პერიოდია,** რისთვისაც რუსეთის ხელისუფლება ორ მეთოდს მიმართავს: უცხო მოსახლეობისათვის მიწის უპირატესი მიცემის (მათ აძლევენ რამდენჯერმე მეტ მიწას) და საგადასახადო სისტემით ქართველების დასუსტების მეთოდს (ქართველებს რამდენჯერმე მეტს ახდევინებენ, ვიდრე სხვას). განსაკუთრებით პრივილეგირებულნი არიან რუსი და გერმანელი კოლონისტები (მასალებს წარმოვადგენ დისკუსიის შემთხვევაში). ამავე მიზნს ისახავდა ვორონცოვის ძალიან ჭკვიანური და ვერაგული პოლიტიკა ქართველი **მემამულეების** (თავადაზნაურობის) მიმართ უფრო ადრე (მიწის დაგირავების სტიმულირება და შემდეგ ამ მიწას გაყიდვა აუქციონის წესით). მიწისაგან ერის ექსპროპრიაცია ამ ერის დასუსტებისათვის და საბოლოოდ, აღმოფხვრისათვის ბრძოლის ძველთაძველი ცნობილი მეთოდია.

ორიოდე სიტყვა ამ მეთოდის და, საერთოდ, ამ საკითხის პოლიტიკურსა და ზოგად-მორალურ მხარეზეც უნდა ვთქვათ.

ვისია მიწა? (ამ კითხვაში ივულისხმება ხოლმე: ვისი უნდა იყოს, ვის ეკუთვნის, ღვთისა და ბუნების სამართლით, მიწა?). კლასიკური პასუხია: იმისია, ვინც მას ამუშავებს. კი მაგრამ, ზემოთ ხომ უკვე ვთქვით, რომ მიწის დამუშავება კარგა ხანია, რაც მძიმე პრობლემა აღარაა. დღეს აშშ-ში ერთი მშრომელი კარგად ამუშავებს რამდენიმე ასეულ ჰექტარს. მსოფლიოში (პირობითად ვამბობთ) ხომ სულ ცოტა, ათჯერ მეტია მიწის საუკეთესოდ დამუშავებელთა (ანუ მისგან მაქსიმალური შესაძლო ნაყოფის მიმღები) მეურნე, ვიდრე მიწა! ამ მეურნეთა ცხრა მეათედი განწირულია, რომ მიწას ვერასოდეს ვერ მიეკაროს — (და თუ განწირული არაა დღეს და ხვალ, განწირული იქნება ზეგ)! რომელნი უნდა იყონ ის პოტენციური მეურნენი, რომლებიც მიწასთან მივლენ, და რომელნი — ისინი, რომელნიც ვერ მიკლენ? ეს ამ მეურნეებს შორის ამა თუ იმ ფორმით ბრძოლის თემა (ინდივიდუალურისა და კოლექტიურისა. სახელმწიფოთაშორისის ჩათვლით). ამგვარად, ზემოხსენებული კლასიკური კითხვის მეორე, დღესდღეობით ძირითადი (და პირველი პასუხის შემავსებელი) პასუხია: მიწა იმისია, ვინც მას მაქცევს და შემდეგ ინარჩუნებს იმის ხელში, ვისშიც უნდა, რომ იგი იყოს, ანუ მიწა იმისია, ვინც მას მოიპოვებს ან ვინც მას იცავს. მიწის დამუშავება არაა ადამიანის ერთადერთი ფუნქცია ან თუნდაც ძირითადი ფუნქცია მიწის მიმართ. ადამიანს მიწის დაცვის ფუნქციაც აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავის აგრაგულ პოლიტიკაში სახელმწიფო უნდა დაემყაროს არა მხოლოდ ეკონომიკურ პროგნოზს, არამედ აგრეთვე (ან უპირატესად) სტრატეგიულსაც, ანუ მან უნდა გათვალისწინოს, როგორ და რა მიმართულებით იქნება გამოყენებული მოქალაქის მიერ ის ძალა, რომელსაც ამ უკანასკნელს მიწასთან ყოფნა აძლევს. ეს პროგნოზი ორი პარამეტრის მომცველია. პირველი: იქნება ეს მოქალაქე სახელმწიფოს ერთგული თუ არა? მეორე: იქნება თუ არა ეს მოქალაქე სახელმწიფოს ინტერესთა სამსახურში, ანუ იქნება თუ არა იგი საკმარისად აქტიური სახელმწიფოს ინტერესთა დაცვაში?

მარტივად რომ ვთქვათ: მიწის გამოყენების კლასიკური ფორმაა მიწის მიცემა მოქალაქისათვის იმის იმედით ან გარანტიით, რომ ეს მოქალაქე სახელმწიფოს ემსახურება. დღეს ქვეშევრდომზე სახელმწიფოს კონტროლის ეს ფეოდალური მეთოდი, ცხადია, ვერ გამოიყენება თავისი პოზიტიური ფორმით, რადგან იგი ეკონომიკურად ოპტიმალური არაა. მაგრამ მას თავისუფლად შეუძლია სახელმწიფოს სარგებლად იმუშაოს თავისი ნეგატიური ფორმით. განა ცხადი არაა, რომ მოქალაქეს, თუ იგი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს ნაკლოვანად ასრულებს ან სულ არ ასრულებს (და არცაა მოსალოდნელი, რომ შეასრულოს), სახელმწიფოსგან მიწის ჩუქება არ ეკუთვნის?

სიტყვამ მოიტანა და ძალიან მოკლედ საქმის მორალური და პოლიტიკური ასპექტის ერთ მხარესაც უნდა შევეხოთ.

გაზეთში „ახალი თაობა" ორი ავტორის მსჯელობა წავიკითხე ამ საკითხზე (ამ მსხელობის ავტორები არიან კობა დავითაშვილი — 24 წლის ახალგაზრდა, რომლის იმედიც, მართალი მოგახსენოთ, მქონდა მისი მომავალი პერსპექტივის მხრივ, და მასზე ორჯერ უფროსი ბატონი ვახტანგ ხმალაძე):

ამ მსჯელობაში, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ვერაა გარჩეული თავისუფლების ცნების ორი სხვადასხვა შინაარსი და, შესაბამისად, ვერ არის გაგებული საკუთრების როლიც სოციალური თავისუფლების შექმნაში. თავისუფლება ზოგადად (ანუ თავისუფლება ამ სიტყვის ფილოსოფიური აზრით) ადამიანის განუყოფელი თვისებაა და მას საკუთრებასთან კავშირი არა აქვს (გაკოჭილიც რომ ვიყო, მაინც თავისუფალი ვარ, რადგან შემიძლია ჩემს მდგომარეობას ჩემს გულში შევურიგდე ან არ შევურიგდე). სოციალური თავისუფლება კი საკუთრებასთან დაკავშირებულია იმით (და მხოლოდ იმით), რომ იგი ჩემზე დამოკიდებულს ხდის ჩემს ბედს, ჩემი ეკონომიკური ბედის ჩათვლით. თუ სოციალიზმის პირობებში ზარმაცი და ბეკეკა კაცის ეკონომიკური პერსპექტივა მერყეობდა სამოცდაათეთიან და ექვსასმანეთიან ხელფასს შორის (ფიგურალურად) და ეს განსხვავება არ კმაროდა ამ კაცის შრომის სტიმულირებისათვის, საკუთრების პატრონს თავისუფალ სისტემაში ერთის მხრივ მილიონერობა ელის, მეორეს მხრივ გაკოტრება, ქალიშვილის გზიდან გადაცდომა, ვაჟიშვილის გზიდან გადაცდომა და სხვა სოციალური უბედურებები.

ამგვარად, საკუთრება არის არა მხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობების, არამედ ეკონომიკური **პასუხისმგებლობის** წყაროც და მხოლოდ ამით არის იგი დაკავშირებული თავისუფლებასთან სოციალურ პლანში. ზემოთ ციტირებული ბატონები ჩვენს გლეხს მისი საკუთრებითურთ საბრძოლველად უშვებენ არათავისუფალი შეჯიბრის სისტემაში, რადგან არათანსწორი, ანუ [illegible] ქვაზიკონკურენციის სისტემაში და ამით მას და მის ოჯახს მომავლის ბოგანობისათვის წირავენ. ამასთან, თუ სოციალისტური ბოგანობა იყო ჩემი ბოგანობა სხვა ბოგანოთა შორის, დღეს იგი იქცევა ჩემს ბოგანობად მესაკუთრეთა შორის, რადგან თავ-თავისი საკუთრება პლანეტის სახნავ-სათესის მიმართ დღეს ყველა ერს აქვს და ჩვენ, ქართველები, ამ სისტემაში **გამონაკლისად** ვრჩებით.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართული არათეორეტიკოსი კაცის პოზიცია (როგორც ფილოსოფიაში იტყვიან: კაცის ბუნებრივი პოზიცია), როგორც წესი, საღია ხოლმე. იგი საღია და, კონკრეტულად, პატრიოტულია მიწის საკითხშიც. შემდეგ, ეს კაცი რომ თეორეტიკოსობას იწყებს, ეს პოზიცია ხშირად ირღვევა და ნიჰილიზმისკენ იხრება, რადგან დედის რძესთან შეწოვილი ერთი ან ორი პირველადი პოსტულატის დარღვევა ამ კაცში ილუზიას იწვევს, რომ რღვევას ყველა პოსტულატები ექვემდებარება. შემდეგ ეს ნიჰილიზმი, როგორც წესი, ქრება. თეორიული აზრის ჭეშმარიტ სივრცეს რომ დაეუფლება, იმ ანალიტიკოსი კაცის პოზიცია კვლავ ჯანსაღ საწყისებს უბრუნდება ხოლმე, რადგან იგი ხედავს, რომ ის, რასაც არათეორეტიკოსი კაცი ფიქრობს და განიცდის, შემთხვევითობა კი არა, ადამიანის ბუნების უღრმეს შრეთა კანონზომიერი გამოვლენა ყოფილა. იმ მეორე საფეხურზე გაჩერებული ადამიანები სახიფათონი არიან რადგან მათ ნახევრად გააზრებული ან, სულაც ხოლმე სხვათაგან ყურმოკრული ნახევრჭეშმარიტებების საფუძველზე რეფორმატორობის სურვილი აწვალებთ, მით უფრო მაშინ, როცა ეს მარცხიანი რეფორმატორობა სოციალური ან პოლიტიკური უპირატესობების მომტანიცაა. ასეთი ნახევრად მოაზროვნენი იყვნენ მარქსისტებიც და მათი საქმიანობის შედეგი ყველამ ვიცით. დღეს ცდუნებაა არა საყოველთაო თანასწორობისა და კეთილდღეობის კეთილშობილური უტოპიის აყოლა, არამედ ცხოვრების მაღალი ტემპიდან გამომდინარე საყოველთაო რღვევისა და ღირებულებათა გადაფასების იდეა, რომელიც, თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ხელოვნების შედეგრებთან ერთად მეორე პოლუსის სახით, მარგინალურ ანუ განაპირა ცივილიზაციათა (ანუ მსოფლიო ცივილიზაციის სანაგვეთა) ზღვას წარმოშობს.

III. რა უნდა გაკეთდეს?

როგორი უნდა იყოს საქართველოს აგრარული პოლიტიკა დღეს?

ცხადია, სასოფლო-სამეურნეო მიწა უნდა ჩართულ იქნას თავისუფალი ეკონომიკის სისტემაში, რადგან ეს აუცილებელია მისი ნაყოფიერი გამოყენებისათვის, მაგრამ მიწის საკუთრებაში გადაცემა და მისი გაყიდვის დაშვება, რაც დღევანდელ პირობებში საქართველოსთვის მასზე კონტროლის დაკარგვას უდრის, არ არის მისი თავისუფალ ეკონომიკაში ჩართვის ერთადერთი შესაძლო ფორმა. არის სხვა ფორმებიც.

მიწის დარ[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-დეგი პრინციპებით:

1. მიწა ურიგდება **ყველა** ოჯახს — ქალაქელსა და სოფელელსაც. თუ ქალაქელი მიწას ვერ ამუშავებს, იგი მას გასცემს იჯარით. ამგვარად, იქნება მიწის დიდი ბაზარი, რომელზეც მიწის რაციონალური გამოყენება გარანტირებულია.

2. მიწა ოჯახს (მის მეთაურს) ეძლევა **ღეს** უფასო სარგებლობის უფლებით და ამ უფლების გასხვისების უფლებით. მიწის საკუთრებაში გადაცემა ხდება თანდათან, ინდივიდუალური მიდგომის (ანუ პიროვნების მრავალი პარამეტრის გათვალისწინების) საფუძველზე 5-10 წლის მანძილზე (ამ დროის მანძილზე ესწრება მიწის კადასტრის შედგენაც, რაც აუცილებელია).

3. მიწის მიღება როგორც უვადო სარგებლობაში, ისე საკუთრებაში ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე სრულად იხდის თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს (სათავდაცვოს ჩათვლით), იგივე პირობები ვრცელდება მიწის მიღების უფლებაზეც გასხვისების (ყიდვის, მემკვიდრეობით მიღების და ა.შ.) წესით. მიწის მიღებას (ყველა წესით) თან ახლავს დადგენილი პროცედურა სათანადო ტექსტის (ფიცის) ხელმოწერის ჩათვლით.

4. მიწის შესყიდვის უპირატესი უფლება და სხვა ანალოგიური უფლებები მიწის მიმართ აქვს სახელმწიფოს.

5. უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიწის ფლობის უფლება (არც უვადო სარგებლობის, არც საკუთრების წესით) არა აქვს. მას აქვს მხოლოდ მიწის იჯარის უფლება (გრძელვადიანის ჩათვლით).

3. ხან ბოლშევიკებთან, ხან დენიკინელებთან, ხან ინგლისელებთან...

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო მონარქისტულ-კლერიკალური ორგანიზაცია იყო. ცხადია, რუსთა ეროვნული საბჭოს იდეოლოგებს არც რუსეთის დროებითი მთავრობა ეპიტნავებოდათ და არც საბჭოთა (ბოლშევიკური) მთავრობა. მათთვის სასურველი იქნებოდა ის მთავრობა, რომელიც „ერთიან და განუყოფელ რუსეთს“ აღადგენდა და ველიკორუსთა დერჟავას ძველ დიდებას დაუბრუნებდა. სწორედ ამიტომ რუსეთის უსუსური დროებითი მთავრობის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რომელიც ველიკოდერჟავულ პოზიციაზე იდგა, რუსთა ეროვნულ საბჭოს უფრო მისაღებად უნდა მოსჩვენებოდა. არც ვ.ლენინის მთავრობა უნდა დარჩენილიყო გულგრილი რუსთა ეროვნული საბჭოსადმი, რომელიც ტიპიური მეხუთე კოლონის როლს ასრულებდა საქართველოში. საბჭოთა რუსეთის მთავრობას რუსთა ეროვნული საბჭო და მისი ოფიცერთა კორპუსი ჰაერივით სჭირდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1918 წლის იანვარში რუსეთის არმიამ საქართველო დასტოვა. ამ პერიოდიდან რუსეთის ინტერესების დამცველს მხოლოდ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო წარმოადგენდა.

1918 წლის 31 ივლისს მოსკოვში შეიქმნა უაღრესად საინტერესო დოკუმენტი. ეს დოკუმენტი რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს (ე.ი. მთავრობის) ბლანკზეა შესრულებული. ბლანკის მარცხენა ზედა კუთხეში იკითხება: „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. სახალხო კომისართა საბჭო. მოსკოვი. კრემლი. 31 ივლისი 1918 წელი. №338“. დოკუმენტი გაეგზავნა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს. მას ხელს აწერენ: შრომის საქმეთა სახალხო კომისარი, სამხრეთ რუსეთში სასურსათო საქმეთა საერთო ხელმძღვანელი ა.შლიაპნიკოვი, სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი ს.ორჯონიკიძე, მდივანი ა.პადერინი **(საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 253, ფურცელი 1). თვით დოკუმენტის შინაარსი ასეთია:**

„ამიერკავკასიის საზღვრებში აღმოცენებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ცნობისა თუ არცნობის საკითხის გადაწყვეტის გარეშე, რაც განკუთვნება რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის კომპეტენციას, ითვალისწინებს რა, ერთის მხრივ, ცენტრალურ მთავრობასთან ურთიერთობის სირთულეებს და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიაში რუსეთის მოქალაქეთა ინტერესების დაუყოვნებლივ დაცვის აუცილებლობას, ამ დოკუმენტის ძალით ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს ეძლევა უფლებამოსილება თავის თავზე აიღოს რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დაცვა განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა. ეს რწმუნება ეძლევა რუსთა ეროვნულ საბჭოს დროებით, ცენტრალური მთავრობის მიერ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე“ **(ს.253, ფ.1).** მართალია, ამ დოკუმენტს ვ.ლენინი არ აწერს ხელს, მაგრამ თვით დოკუმენტი რომ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს — მეხუთე კოლონის ძირგამომთხრელი საქმიანობის წახალისებას ისახავდა მიზნად, ცხადზე უცხადესია. დოკუმენტი ოფიციალური იყო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, სურდა თუ არ სურდა, ანგარიში უნდა გაეწია მისი წარმომადგენლისათვის.

1918 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა რუსეთმა ზედიზედ დასთმო პოზიციები სამხრეთ რუსეთში. აქ შეიქმნა ყუბანის სამხარეო მთავრობა.

ისტორია როგორც წარსულით წინასწარმეტყველება...

ვახტანგ გურული

მეხუთე კოლონა

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო

დას. იხ „საქართველო“ №6

1918 წლის ოქტომბერში ყუბანის მთავრობამ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო დროებით, სრულიად რუსეთის კანონიერი მთავრობის შექმნამდე, სცნო თავის წარმომადგენლად საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში **(ს.276, ფ.105).** ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი გადაეცათ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს. აზერბაიჯანის მთავრობამ ყუბანის მთავრობის წინადადება უარყო, სომხეთის მთავრობამ საერთოდ არაფერი უპასუხა. რუსთა ეროვნული საბჭო განსაკუთრებით მაინც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას აღშფოთებია. ეს რას წერდა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ყუბანის სამხარეო მთავრობის თავმჯდომარეს 1919 წლის 14 ივლისს: „რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, მას ეს საკითხი საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, თუმცა ყუბანის მთავრობას აცნობა, რომ მას სასურველად და უფრო მოხერხებულად მიაჩნია თავისთან ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი და არა კოლეგია დიდი და ცვალებადი შემადგენლობით. ამავე დროს საქართველოს მთავრობამ რუსთა ეროვნულ საბჭოს აცნობა, რომ მას რწმენება აქვს მთელი ამიერკავკასიისათვის და არა ცალკეული სახელმწიფოებისათვის, მაშინ როდესაც საქართველოს მთავრობას სურდა ყუბანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მიზნით თავისთან ჰყოლოდა სპეციალურად საქართველოსათვის აკრედიტებული წარმომადგენელი“ **(ს.276, ფ. 105).** როგორც ვხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოქმედებდა საერთაშორისო ურთიერთობაში მიღებული ნორმების დაცვით, ხოლო რუსთა მეხუთე კოლონა — ველიკოდერჟავული ინტერესებიდან გამომდინარე.

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო ცდილობდა ყუბანის მთავრობასთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაზე გავლენის მოხდენის მიზნით გამოეყენებინა ინგლისის მისია ამიერკავკასიაში და ამიერკავკასიაში მყოფი ინგლისის შეიარაღებული ძალების სარდლობა. რუსთა ეროვნულმა საბჭომ თხოვნით მიმართა ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების სარდალს გენერალ-მაიორ ფორესტერ უორკერს, რათა რუსთა ეროვნული საბჭო ეცნოთ ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსეთის ქვეშევრდომების წარმომადგენლად. 1919 წლის 11 თებერვალს ინგლისის ჯარების სარდლობისაგან ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო: „თქვენი №463 წერილის თანახმად ბრიტანეთის ძალების სარდალი ამიერკავკასიაში გენერალ-მაიორი ფორესტერ უორკერი მზადაა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო სცნოს ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსეთის ქვეშევრდომების წარმომადგენლად და იმოქმედოს მისი შუამავლობით“. **(ს.276, ფ.23).** რა თქმა უნდა, ეს დოკუმენტიც ზლუდავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ცდილობდა აღეკვეთა მეხუთე კოლონის მოქმედება.

ინგლისელების დახმარება სულ მალე დასჭირდა რუსთა ეროვნულ საბჭოს, 1919 წლის 17 თებერვალს ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო გენერალ-მაიორ ფორესტერ უორკერს აცნობებდა: „დღეს ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოში გამოცხადდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის მოხელეები და მოითხოვეს საბჭოს წევრთა და მოსამსახურე წევრთა მისამართები“ **(ს.276, ფ.37).** რუსთა ეროვნული საბჭო შიშს გამოთქვამდა, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან ასეთ მოქმედებებს მოჰყვებოდა „ჩხრეკები, დაპატიმრებები და გასახლებები“ და იქმნებოდა საშიშროება ინგლისის ჯარების სარდლობისაგან რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დამცველად აღიარებული ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ლიკვიდაციისა **(ს.276, ფ.37).**

1921 წლის 25 თებერვლის შემოქმედნი

ცხადია, ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების სარდლობა არ დაუშვებდა რუსთა ეროვნული საბჭოს ლიკვიდაციას. მეხუთე კოლონა ინგლისელებსაც სჭირდებოდათ...

4. კონფლიქტი რუსეთის ხაზინის ვალების გამო

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ხაზინა დიდი შეფერხებით აწვდიდა ფულს თბილისის ხაზინას. თავისთავად თბილისის ხაზინა აგვიანებდა მოქალაქეთა კუთვნილი ფულის გაცემას. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ რუსეთის ხაზინა თბილისში საერთოდ აღარ აწარმოებდა ფულად-საფინანსო ოპერაციებს. შესაბამისად შეფერხდა თბილისის ხაზინიდან მოქალაქეთა კუთვნილი თანხის გაცემაც. 1918 წლის 26 მაისისათვის თბილისის ხაზინას გადაუხდელი ჰქონდა დიდი რაოდენობით თანხა. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოსა და საერთოდ მთელს ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუსებზე მოდიოდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წ. 26 მაისი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წარმოუდგენლად მძიმე ეკონომიკურ პირობებში მოახდინა კავკასიის ფრონტისა და საფრონტო დაწესებულებების ლიკვიდაცია. ამ მიზნით 1918 წლის 26 მაისიდან 20 ნოემბრამდე დახარჯული იქნა 35 მილიონ 517 ათასი მანეთი. მარტო რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა (ოფიცერთა) ოჯახებზე [illegible] 1 მილიონ 32 ათასი მანეთი. [illegible]რდა ამისა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადახდის უნარის არქონე შემნახველ სალაროებს გამოუყო 10 მილიონი მანეთი, კერძო ბანკებს — 28 მილიონი მანეთი, ხოლო სახელდახელო ანგარიშების გასასწორებლად სახელმწიფო ბანკმა და ხაზინამ მიიღო 23 მილიონი მანეთი. სულ ექვს თვეში საქართველომ რუსეთის ხაზინის ვალების დასაფარავად გაიღო 98 მილიონ 244 ათასი მანეთი (**საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 72, ფურცლები 2-3).** მიუხედავად ასეთი დიდი თანხის გაღებისა, რუსეთის ხაზინის ვალის ნაწილი მაინც გადაუხდელი დარჩა. მევალეთა შორის დიდი უმრავლესობა რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ აპირებდა ვალის გადახდას, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე იყო და ვალიც მას უნდა დაეფარა. წესით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ის თანხაც არ უნდა გაეღო, რაც კავკასიის ფრონტისა და საფრონტო დაწესებულებების ლიკვიდაციას მოსდარდა (მსგავსი რამ არ გაუკეთებია სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობას, არც ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მთავრობებს). მით უმეტეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სულაც არ იყო ვალდებული დაეფარა ის ვალი, რომელიც რუსეთის სახელმწიფო ბანკსა და ხაზინაზე ირიცხებოდა. ყოველივე ამის მიუხედავად ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს მთავრობისგან ვალის დაფარვას. რუსთა ეროვნული საბჭოს მოთხოვნის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაფარავდა რუსეთის ქვეშევრდომების ვალს, თუ ეს ვალი 1918 წლის 26 მაისის შემდგომი პერიოდისა იყო (**საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 276, ფურცელი 24).** ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო რუსთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს მთავრობას ყუბანის სამხარეო მთავრობასთან უწივლა. რუსთა ეროვნული საბჭო ყუბანის მთავრობაზე შემთხვევით არ შეწერებულა: საქართველოსა და ყუბანის მთავრობებს შორის ვითარება უკვე დაძაბული იყო. 1919 წლის თებერვალში ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო ყუბანის მთავრობას თხოვდა მიეღო შესაბამისი ზომები „როგორც რუსეთის სახელმწიფოს, ისე რუსეთის ცალკეული მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით“ **(ს.276, ფ.26).** რუსეთის ხაზინის ვალების დაფარვის მიზნით საქართველოს მთავრობაზე გავლენის მოხდენა რუსთა ეროვნულმა საბჭომ ინგლისის მისიის საშუალებითაც სცადა, თუმცა სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია.

5. სეპარატისტების მხარდამხარ

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა „სოხუმის რუსთა ეროვნული მმართველობა (საბჭო)“, რომელიც ჰუდამ აფხაზ სეპარატისტებს ედგა გვერდში.

1919 წლის იანვარში სოხუმის რუსთა ეროვნულმა მმართველობამ მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს. ესაა უაღრესად საინტერესო დოკუმენტი. მოხსენებით ბარათში დიდი აღფრთოვანებით არის აღნიშნული შემდეგი: „აფხაზეთი ანუ სოხუმის ოკრუგი 1878 წლიდან დაწყებული თანდათან სახლდებოდა ჩამოსული რუსებით. მათი ჩამოსახლების პირველი ხანებიდანვე ურთიერთობა რუსებსა და აფხაზებს შორის იყო ძალზე მეგობრული. ადგილობრივ მოსახლეობაში რუსები განსაკუთრებით თანაგრძნობით სარგებლობდნენ. მათ შემოჰქონდათ კულტურული ჩვევები. რუსები აფხაზებში სარგებლობდნენ შრომისმოყვარე და პატიოსანი მუშების სახელით“ **(ს.276, ფ.30).** აფხაზების რუსული ორიენტაცია სოხუმის რუსთა ეროვნულ მმართველობას უკვე საბოლოოდ გადაჭრილ საკითხად მიაჩნდა: „რუსული სახელმწიფოს, როგორც ძლიერი პოლიტიკური ორგანიზმის შეგრძნება დღესაც მძლავრადაა ჩაჭედილი აფხაზთა ცნობიერებაში“ **(ს.276, ფ.30).** მოხსენების შემდგენელი დასკვნის: „მათ (აფხაზებს — ვ.გ.) აფხაზეთი ვერ წარმოუდგენიათ იმ რუსეთის გარეთ, საიდანაც ღებულობენ ფულს, პურს, მანუფაქტურას და ყოველგვარ კულტურულ ღირებულებას“ **(ს.276, ფ.30).** ამის დამადასტურებელი „საბუთიც“ იქნება მოტანილი: „როცა საქართველომ მოისურვა აფხაზეთში ადმინისტრაციული და სასწავლო დაწესებულებების ნაციონალიზაცია, აფხაზეთის სახალხო საბჭო წინ აღუდგა ამას და რუსული ენა ჯერ-ჯერობით რჩება სახელმწიფო ენად აფხაზეთში“ **(ს.276, ფ.30).** აფხაზეთის მოსახლეობის ანტიქართული განწყობილების „დამტკიცების“ შემდეგ მოხსენების ავტორი აღნიშნავს: „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მთელი აფხაზური მოსახლეობა დგას სრულად გარკვეულ რუსულ ორიენტაციაზე, რასაც საფუძვლად უდევს მათი სიმპათია და ნდობა რუსეთისადმი“ **(ს.276, ფ. 31).** მთელი მოხსენებითი ბარათი იწერებოდა შემდეგი დასკვნისათვის: „აფხაზეთის შეერთება რუსეთთან სავსებით შესაძლებელია. ეს შეერთება შედის როგორც აფხაზეთის, ისე რუსეთის ინტერესებში“ **(ს.276, ფ.34).**

ვერაფერს იტყვი: სოხუმის რუსთა ეროვნულ მმართველობას (საბჭოს) კარგად ესმოდა მეხუთე კოლონის დანიშნულება...

6. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ლიკვიდაცია

1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დადების შემდეგ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ ახალი ძალით გააჩაღა მოღვაწეობა. მეხუთე კოლონას მფარველად ამჯერად ს.ორჯონიკიძე და ს.კიროვი მოევლინენ.

დასასრული მე-8 გვ.

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.

წუთშესვენება - იუმორის გვერდი

კურიოზები

ერთიანი ეროვნული მოძრაობა

რუბრიკას უძღვება საქართველოს სახალხო არტისტი

ელენე საყვარელიძე

სხვა რა უნდა ეფიქრათ?..

დოდო ალექსიძე ბერტოლდ ბრეჰტის „სამგროშიან ოპერას“ დგამდა. პიესაში ასახულია ლონდონის ბანდიტებისა და მეძავების ცხოვრება. მე მეძავების თავქალს ნაძირალა ჯენის როლს ვამზადებდი.

როგორც ყოველთვის, თეატრში ყველა სცენას თავისი სახელი აქვს. ამ პიესაში იყო ეგრეთ წოდებული „ბოზების სცენა“, „ქორწილის სცენა“, „ბანდიტების სცენა“ და სხვა ამათგვარი, მონაწილეებს სცენების მიხედვით გამოგვიძახებდნენ ხოლმე რეპეტიციებზე.

მე, გარდა თეატრალური მოღვაწეობისა, მუდამ ბევრი საზოგადოებრივი დატვირთვა მაქვს ხოლმე. ერთხელ „სამგროშიანის“ რეპეტიციის დროს ჩემთან ორი სოლიდური მამაკაცი მოვიდა ქალაქის საბჭოდან, მათ ერთ-ერთი კრების ოქმი მთხოვეს. ოქმი ჩემს საგრიმიორო ოთახში მქონდა და სტუმრები კულისებისაკენ მივიწვიე. სცენასთან უხმოდ და ფეხაკრეფით ჩავიარეთ, რათა რეპეტიციისათვის ხელი არ შეგვეშალა. ამ დროს დოდო ალექსიძეს წინა სცენის რეპეტიცია დაუმთავრებია და პარტერიდან ხმამაღლა დაიყვირა:

— აბა, ბოზებო, სასწრაფოდ სცენაზე!

დიდი იყო სტუმრების გაკვირვება ასეთ საჩოთირო მომართვაზე, მაგრამ თავი შეიკავეს და არაფერი მაგრძნობინეს, მაგრამ იმაზე, რომ მე კულისებიდან სცენაზე თავი შევყავი და აღუშფოთებლად შევეხმიანე დოდოს — ახლავე ბატონო დოდო, ამ წუთში გეახლებით-მეთქი — თვალები ბუდიდან ამოუცვივდათ, როგორი ყოფილა ჩვენი საზოგადოების ეს საპატივცემულო აქტივი ქალბატონიო, მე კი სარეპეტიციო გრძელი კაბით სცენასთან ჩავიფართხუნე და სტუმრები საგრიმიორო ოთახში შევიყვანე. ისინი დაფიქრებულნი ჩანდნენ, ვინ იცის რას ფიქრობდნენ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვა რა უნდა ეფიქრათ?



ლელა კოდალაშვილის ნახატი

საგანგებოდ მოწყობილს გავდა...

დოდო ალექსიძე და სიკვდილი? — დაუჯერებელია!

იგი ხომ სიკეთე იყო, იგი სილაღე იყო, ნიჭიერება იყო, დოდო ალექსიძე სიცოცხლე იყო და საუბედურო ყველაზე მოკვდავი ამ ქვეყნად სწორედ სიცოცხლეა!

ბატონი დოდო ისეთი კაცი იყო, სხვის ზეიმს რომ იზეიმებდა და სხვის ცრემლს ჩამოიდენდა, ჩემისთანების მთელი არმია დაავალა დოდო ალექსიძემ, გაგვზარდა, გვასწავლა, გზაზე დაგვაყენა, თავი გაგვტოლა!

დოდო ალექსიძეს ბევრ რამეზე ტკიოდა გული, მაგრამ არ იმჩნევდა, დოდო ხალისი იყო, მისი იუმორი საქვეყნოდ ცნობილი იყო, რას არ იხუმრებდა, როგორ სხარტად შეატრიალებდა აზრს, მასთან ვერ მოიწყენდი! იუმორი სიკვდილის წინაც არ სტოვებდა თურმე, გვითხრეს ტელევიზორს უყურებდა, უცებ დაიძახა, მგონი ვკვდები ამის დედა ვატირეო... და გათავდა კიდეც!

რადგან ხალხი და იუმორი მისთვის განუყრელი იყო, ჩემს თავს ნებას ვაძლევ მისი ცხოვრების ერთი კურიოზი შემოხვევა მოვიგონო: სხვა მრავალთა შორის ბატონმა დოდომ ერთი დიდებული წარმოდგენა დადგა, ეს იყო ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რომელშიც მე თამრის როლს ვასრულებდი. მაშინ დოდომ როლზე ასეთი რამ წამიწერა: „შენ საქართველოში პირველი თამრო ხარ, ეცადე გაამართლო ეს ნდობა და პატივიო“.

მართლაც, მაქსიმალურ ენერგიას ვხარჯავდით ამ ნაწარმოებზე და ვგონებ, კარგი წარმოდგენაც გამოვიდა, უამრავი ხალხი ესწრებოდა და იგრძნობოდა, რომ მაყურებელს აშკარად მოსწონდა იგი.

მაყურებელი ალბად გაიხსენებს, რომ თამროს, როცა ის „ავლაბრის უნამუსო“ გახდება, „თეთრ დუქანში“ შეზარხოშებული კინტოები აიძულებდნენ ემღერა და მეც შეურაცხყოფილი და თვალცრემლებული ვიწყებდი სიმღერას — ილიასვე ლექსს „გახსოვს ტურფავ“, რომელზეც შესანიშნავი მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა. ეს სცენა რეჟისორის მიერ იყო ჩამატებული, რადგან რეჟისორს მოსწონდა ჩემი სიმღერა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამ სიმღერამ მაშინ დიდი კამათი გამოიწვია, ამბობდნენ, თამროს სიმღერა რომ საჭირო ყოფილიყო, დიდ ილიას არაფერი შეეშლებოდა და თვითონვე მოიფიქრებდა ამასო, რადგან არ დაწერა, არცაა საჭიროო. (სულო ცოდვილო, ამ აზრში არის გარკვეული სიმართლე, თუმცა, მე რავინ მეკითხებოდა მის გადაწყვეტას). დოდოს კი ძალიან მოწონდა. იგი ჯიუტობდა და ყოველგვარი წინააღმდეგობა ამ საკითხზე ძალზე აღიზიანებდა, თუმცა იმწუთასვე იხუმრებდა: „ბედი არ გინდა? კოტე მარჯანიშვილმა შექსპირის „ჰამლეტში“ ზესტაფონელი მესაფლავეები გამოიყვანა და არავის ჩაუქოლია, მე კი ილიასვე ლექსს ვამღერებ, რომელიც ძალიან მიესადაგება გაბროსა და თამროს ტრაგიკულ სიყვარულს და ლაჩის შემჭამონი“. უნდა ითქვას, დოდომ პრიციპულობა გამოიჩინა და სიმღერა მაინც დატოვა წარმოდგენაში, მაგრამ სულ თვლიდა, რომ ამ ამბავს საგანგებოდ „უწყობდნენ“ და ნერვიულობდა.

პირველი პრემიერა იყო... მოვიდა ის ადგილი, სადაც მე სიმღერის დროს მგზავრში თანდათან შევიცნობ გაბროს და განწირული ხმით შევკივლებ. კივილი და დარბაზში სიცილი ერთი იყო, გაკვირვებულმა გადავხედე გაბროს, რომელიც ჭერში იყურებოდა, მის მზერას გავყევი და ისევ ვიკივლე: ჩემს თავთან დიდი, შავი ღამურა დფარფატებდა, ეს ამბავი დიდიხნის წინათ იყო, მაგრამ ბევრი დამემოწმება, რუსთაველის თეატრი ღამურებსაც უყვართ და დღესაც არ იგრძნობა მათი დეფიციტი. ბედად ფინალი მოახლოვებული იყო და ფარდაც მალე დაიხურა.

ლ. კოდალაშვილის ნახატი

ეს, თავისთავად კურიოზია, მაგრამ მთავარი წინ გველოდება...

მეორე წარმოდგენაზე დავიწყე სიმღერა „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენ გიჟმა რა იცოდაააა“და დარბაზიდან ისევ ხარხარი გაისმა, მექანიკურად ზევით ავიხედე, სიმშვიდე იყო, გაბროს გადავხედე, იგი ამჯერად იატაკს ჩაჰკირკიტებდა და დავინახე, რომ ყოველგვარი მორიდების გარეშე ავანსცენაზე მიაბიჯებდა დიდი, ჭრელი კატა. არც ეს შემთხვევა გახლდათ პირველი, საქმე იმაშია რომ სცენის გვერდზე მეხანძრეებს მუდამ ჰყავთ კატები, რომლებიც სცენაზე უბოდიშოდ გაივლიან ხოლმე. ფარდა დაეშვა და კულისებში აღელვებული შემოიჭრა დოდო ალექსიძე.

— აი, ხომ ხედავთ, საგანგებოდ მიწყობენ... არ უნდათ სიმღერა და... ხედავთ რას აწყობენ... აბა რაღა ამ სიმღერის დროს ეწყობა ღამურებისა და კატების გამოფენა?

ესეც ცხადია კურიოზია, მაგრამ მთავარი ისევ წინაა...

მესამე წარმოდგენაზე დოდო „ფიზლობდა“ და გაგვფრთხილა: „დღეს ალბად, სცენაზე ვეფხვს შემოუშვებენ და მზად იყავით!“ სთქვა და გავიდა. საბედნიეროდ, ამჯერად მშვიდად ჩატარდა წარმოდგენა, სცენაზე მარტო ადამიანები ვმოქმედებდით, არც დოდო სჩანდა, ფარდის დაშვების შემდეგ დატუქსული ბავშვივით შემოვიდა კუთხეში და აიტუზა. ჩვენ გაბრწყინებული თვალები შევაგებეთ — გადავრჩითო!

— მე კი გავთავდი და... მოქმედება რომ დაიწყო, რომ არ გავგიჟებულიყავი, რუსთაველის პროსპექტზე გავვარდი, ერთი ორი ბოლთა დავარტყი და ის იყო, შემოსვლას ვაპირებდი, დვინახე ვიღაც კაცს დიდი ჯიშიანი ძაღლი მოყავს ღვედით, აპა, ვიფიქრე, გაიხსნა შეთქმულება და არც ვაცივე, არც ვაცხელე, მივვარდი იმ კაცს (ამ ადგილას მაგარი სიცილი აიტეხა, შემდეგ სული მოითქვა და გააგრძელა).

— საით მიბრძანდებით, ძაღლოსანო?! — ვეკითხები.

კაცი გაშტერდა, რა გინდათ ჩემგანო?

— არ მოგწონთ არა სიმღერა? ვინ გამოგგზავნთ მითხარით? მე იმას ისე ვამღერებ რომ... შეშინებულმა კაცმა ძლივს მოაბრუნა ენა „რა გინდათ ჩემგანო?“

— თეატრში ფეხი არ შედგა, თორემ მე შენ გიჩვენებ სეირს, შენ და შენს ძაღლს სულ დუეტს გამღერებთ! ნაღდი გიჟი ვეგონე და „არა, ბატონო, ახლავე წავალო“ ჩაიბურტყუნა. გგონიათ დავუჯერე? — სალაროების კარს ამოვფარე და სანამ კულტურის სამინისტროს არ გასცდა, სულ ვუთვალთვალებდი თეატრში არ შეიპაროს მეთქი ძაღლიანად...

—იცინეთ, აი, იცინეთ მითხარით, ხომ გავდა ყველაფერი განგებ მოწყობილს! ისე, კაცმა რომ სთქვას ახლა, მეც მეცინება, მაგრამ... იმ კაცის სახე არ მავიწყდება... დოდომაც ბევრი იცინა და ჩვენც...

ბატონ დოდოს უსაზღვრო ფანტაზიას ხშირად რაღაცეები აღიზიანებდა, მაგრამ ისიც შეეძლო, ობიექტურად განსაჯა ყოველივე და თავისი თავიც.

დოდო ალექსიძე აღარ არის, ძნელი დასაჯერებელია, თუმცა ყველაზე მოკვდავი ხომ ამქვეყნად სიცოცხლეა!

მ. აბაშიძის ნახატი

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ

10-17 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი. ამ კვირაში თქვენი ძირითადი პრობლემაა ჯანმრთელობა. ამასთან, სრულიად ზედმეტია თბილისელ უმეცარ ექიმებთან დაკონტაქტება — ერთის მხრივ, ფულსაც დაზოგავთ, მეორეს მხრივ, შედეგი მაინც არ იქნება. და, რაც მთავარია, ეს კვირა განსაზღვრავს თქვენს მთელი წლის წარმატებებს. მოკლედ, ფრთხილად იყავით, უსიამოვნებები არ დაგებედოთ.

კურო. არ შეშინდეთ, თუ ფანტაზიები და ახალი იდეები გაგიბურღავენ ტვინს. ეს ჯერჯეროობით არაა სიგიჟის ნიშანი. უბრალოდ, ცხოვრება აქაფდება თქვენს გარშემო. კონკრეტული გეგმები აზრს დაკარგავს, რადგან მოულოდნელ სიტუაციებში თქვენი სწრაფი რეაგირების უნარი განსაზღვრავს დიდ გამარჯვებას ან... დამარცხებას. აბა, თქვენ იცით, კუროებო.

ტყუპები. სიყვარული შემოაბიჯებს თქვენს გარშემო. შეიძლება ეს პირველი შვილის სიყვარული იყოს, ან... სამსახურში უფროსის ბინძური ზრახვები. ნუ აურევთ ვნებას საქმესთან. იმუშავეთ, იმოღვაწეთ. დაასრულეთ თქვენი საქმეები, რადგან შეიძლება ამის შანსი მეტად აღარ მოგეცეთ. ისე, თუ ჭკუით მოიქცევით, შეიძლება ფინანსურ წარმატებებსაც გამოკრათ ხელი.

კიბო. მშვენიერი დრო გიდგებათ, სხვის შეცდომებზე ჭკუის სწავლებისთვის. ისე, სულ მალე თქვენც ისეთივე შეცდომების დაშვების შანსი მოგეცემათ. სამსახურში ცვლილებები იქნება, მაგრამ არ დაუჯეროთ არც ერთ პროგნოზს, თვით ჩვენსასაც კი — შედეგი მაინც წყვდიადშია. ამასთან, თუ საყვარელი ადამიანი დაგპატიჟებთ სამოგზაუროდ, უარი არ თქვათ. ჩვენს დროში დაპატიჟებაზე უარს მხოლოდ გიჟები ამბობენ.

ლომი. სექსუალური ენერგია, რომელსაც არ დახარჯავთ სხვასთან, დაიხარჯება საკუთარ თავთან ურთიერთობაში. ასეთი საქმიანობის სამედიცინო და საზოგადოებრივი სახელწოდება ყველასათვის ცნობილია და აღარ შეგახსენებთ, ზოგიერთი უტვინო ცდუნებაში რომ არ შევიყვანოთ. არ ასესხოთ ფული არავის — ამას ასტროლოგიური პროგნოზის კითხვის გარეშეც უნდა ხვდებოდეთ.

ქალწული. სწორედ თქვენი ქალწულობა იქნება ძირითადი საზრუნავი. შეიძინეთ ახალი ნაცნობები, იარშიყეთ ძველებთან — რა იცით, რას გამოკრათ კბილი. მაგრამ არანაირი ოფიციალური ურთიერთობა, არანაირი სასამართლოები, გაყრები, შეყრები და ალიმენტი. სულ ერთია, ამ კვირაში ეს ყველაფერი მარცხით დამთავრდება.

სასწორი. პროფილაქტიკა და კონსულტაციებში სიარული თავიდან აგარიდებთ ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ახალი, მჩქეფარე ნაკადით უნდა განახლდეს კონტაქტები, თორემ დაკარგავთ ძველ ახლობლებს. შესაძლოა, თქვენი ნაზი და ესთეტური სული აღშფოთდეს, მაგრამ ხორციც, მოგეხსენებათ, ტკბილია. თუ წინდახედულად მოიქცევით, ამ რთულ პერიოდს წარმატებით დაძლევთ.

ღრიანკალი. ძლიერი შემოქმედებითი ტალღა აგიტაცებთ სამსახურში, ოჯახში, გექნებათ შანსი, შექმნათ შედევრი, გაიკეთოთ აღმოჩენა ან... ბავშვი. მაგრამ გახსოვდეთ, სიამოვნება სიამოვნებად და, ბავშვებს მოვლაც სჭირდებათ. თქვენ კი უახლოეს თვეებშიც კი, არ უნდა გქონდეთ ფინანსური წარმატებების იმედი. ეს უსიამო პერიოდი რომ გადაივლის, მერე ვნახოთ...

მშვილდოსანი. რა სჯობია გაზეთების კითხვას, ტელეფონზე ჭორაობას და ნაცნობებში ინტრიგანობას — ბინების გაცვლა-გაყიდვასთან დაკავშირებული მთელ ეს მაზოხიზმი თქვენი ძირითადი გასართობი იქნება ამ კვირაში. თამამად ეჩხუბეთ ოჯახის წევრებს. რაც უფრო ვაჟკაცურად მოიქცევით, მით უფრო მალე მოცუხცუხდებიან უკან. ისე, მაინც გაითვალისწინეთ იოგების სიბრძნე: „მთელი სიიდუმლოება დატვირთვის ზომიერებაშია“.

თხის რქა. გამორთეთ ტელეფონი, თორემ ტვინს შეგიჭამენ უაზრო რეკვებით. დაგეგმეთ რაც გნებავთ — ოცნებას ჯერ კაცი არ მოუკლავს. და მეგობრები! ვისაც როგორ უნდა, ისე ესმოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა, თქვენ მაინც გააბით ინტიმური კონტაქტი რომელიმესთან. აუცილებლად მიაღწევთ წარმატებას, თუ, რა თქმა უნდა, ტაქტიანად მოიქცევით.

მერწყული. ღვინოს ნუ მიეძალებით და ქალებს არ აყვეთ. მზე შემოდის თქვენს ნიშანში. თქვენ კი თქვენის მხრივ ზურგს აქცევთ თევზებს და სატურნის შვიდი ფერი მოეძალება თქვენს ვარსკვლავს. მაგრამ ამ ცით მოვლენილმა ბედნიერებამ არ აგაცერცეტოთ. ჭკუით მოიქეცით და აუცილებლად გაიხსენეთ ძველი საქმიანი პარტნიორები. გვერწმუნეთ, ეს გამოგადგებათ.

თევზები. თუ თქენზე ჭორაობენ, — თქვენც იჭორაავეთ სხვაზე, დაგკბენენ — ცხრაჯერ მეტი უკბინეთ, მაგრამ არც თუ ისე მწარედ, — თორემ ისეთ საიდუმლოს გამოგითხრიან, თვალების დათხრა გერჩივნოთ. ადამიანი საზოგადოდ უმადური არსებაა — როგორ ჰარმონიულადაც არ უნდა მოექცეთ ახლობლებს, მაინც შეგათვალიერებენ გამადიდებელი შუშით და „აღმოაჩენენ“ თქვენში იმ საზიზღრობას, რასაც საკუთარ თავში მაინცდამაინც ვერ ხედავენ.

ᲞᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. ხმის გამომცემი საკრავზე; 5. იმის მოპირდაპირე მხარეს, საითაც მიდიან, ესე იგი... 7. ზღვაში მცურავი ყინულის მთა; 9. ერთერთი მეცნიერება; 11. ფოლადის კარკასი რკინაბეტონის კონსტრუქციაში; 13. ბამბის ბუსუსიანი ქსოვილი; 15. პოლიტიკური პარტიის შიგნით არსებული დაჯგუფება; 16. ძილში ნახული სახეები და წარმოდგენები; 18. არის ისეთი რამ, რაც ვირისაგან არ უნდა გვეწყინოს; 20. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში; 24. უახლესი წარსულის მოდური უცხოური ცეკვა; 25. ამერიკაში გავრცელებული მტაცებელი ცხოველი; 26. გადამწყვეტი იერიში; 27. აკაკი წერეთლის პოემა; 29. მიმდინარეობა, წინააღმდეგი ყოველგვარი, მათ შორის სამართლიანი ომებისა; 33. შენობის სახურავი მასალა; 34. სახეების გამოყვანა ქსოვილზე; 35. ალ.სუმბათაშვილის პიესა; 36. ინდოელი მოჭადრაკე.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სინონიმი სიტყვებისა „ბატონი“ და „ბატონო“ ინგლისსა და აშშ-ში; 2. ტროპიკული გაუვალი და ჭაობიანი ტყე; 4. ჭიდაობის ფანდი — მოწინააღმდეგით თეძოზე გადმოგდება; 6. მრავალწლოვანი საკვები ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა; 8. დილით ოქროა, საღამოს — ვერცხლი, თუ ხანი გადაუვიდა — სპილენძი (ანდაზა); 10. ქალაქის სწორი და განიერი ქუჩა; 12. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 14. ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნების მცენარე; 17. მიწაყრილი ან ნაგებობა მდინარის გასწვრივ, რაც ატბორებს მას ან იცავს მიდამოს წალეკვისაგან; 19. სპორტული ან სასეირნო-ტურისტული გემი; 20. პარტიის ნაწილი ან ქულათა გარკვეული რაოდენობა ჩოგბურთში; 21. პრესტიჟული საფეხბურთო ჯილდოს „ოქროს ბურთის“ მფლობელი 1973-74 წწ; 22. შეჯიბრების დასასრული ჭადრაკში ან შაშში; 23. ხშირი და ხუჭუჭა თმა; 28. ადგილი საფრანგეთში, სადაც მდებარეობს ქართველ ემიგრანტ მოღვაწეთა სასაფლაო; 30. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 31. რძის აჭრის შემდეგ დარჩენილი სითხე; 32. ფინური აბანო.

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲙᲝᲚᲝᲜᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ

მოძმეთა ეროვნულიდან

ოთხასა ოცდაერთ საუკუნის ოცდა ... რაციული ბინები საბჭოთა რუსეთის დაზვერვის განკარგულებაში გადავიდა. მთელი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ საგანგებო რაზმმა (მექი კედია) რუსთა ეროვნულ საბჭოს ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ დეტალებიც კი იცოდა, მაგრამ იშვიათი გამონაკლისის გარდა ჩხრეკასა და მით უმეტეს დაპატიმრებებს ვერ ბედავდა. მეხუთე კოლონა თითქმის ლეგალურად აგრძელებდა საქმიანობას...

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ თავისი სამარცხვინო ანტიქართული მოღვაწეობა მეტად „ღირსშესანიშნავ“ დროს დაამთავრა, კერძოდ, 1921 წლის 28 თებერვალს, ე.ი. თბილისში მე-11 საბჭოთა წითელი არმიის შემოსვლიდან მესამე დღეს.

„ღირსშესანიშნავ“ ფინალს „ღირსშესანიშნავი“ მოვლენა უძღოდა წინ: 1921 წლის 25 თებერვალს რუსთა ეროვნული საბჭოს აქტივისტები საკმაოდ მრავალრიცხოვან ბრბოსთან ერთად გამოცხადდნენ მე-11 არმიის სარდლობასთან და მთელი კატეგორიულობით მოთხოვეს თბილისის უნივერსიტეტის დახურვა...

1921 წლის 28 თებერვალს შედგა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს მმართველობის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: საბჭოს თავმჯდომარე ა.ნ.კალიუჟნი, თავმჯდომარის ამხანაგი ა.ნ.კაპრანოვი, მმართველობის წევრი: ლ.ა.უტკინი, მთავარი კონტროლიორი მ.ი.ზოლნიკოვი. სხდომამ მიიღო დადგენილება: „Руссовет закрыть“ (ს.176, ფ.121). თუ რატომ შეწყვიტა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ ასე მოულოდნელად არსებობა, სხდომის ოქმში დაფიქსირებული არ არის. თუმცა ამის შესახებ სავსებით ცხადად იყო ნათქვამი იმ წერილში, რომელიც 1921 წლის 26 თებერვალს რუსთა ეროვნულმა საბჭომ გაუგზავნა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს (რევკომს). წერილში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო შეიქმნა რუსი ეროვნების მოქალაქეთა დაცვის მიზნით. შემდეგ წერილში ვკითხულობთ: „ამჯერად ძალაუფლების ახალი მთავრობის ხელში გადასვლასთან დაკავშირებით, რომელიც მმართველობის ორგანიზაციას ახდენს ახალ საბჭოთა საწყისებზე, იძლევა კანონის წინაშე ყველა ერის თანასწორობის გარანტიას, რუსთა ეროვნული საბჭოს შემდგომი არსებობა ზედმეტი ხდება“ (ს.276, ფ.120).

მართლაც, რუსთა მეხუთე კოლონა საქართველოში საჭირო აღარ იყო...

უფრო ძლიერი და უფრო ორგანიზებული მეხუთე კოლონა საქართველოს დაჰპატრონებოდა...

გაერთიანებული
რესპუბლიკური
პარტია ანგარიშობს
უცხადებს პარტიის
წევრს ვასილ
შარაბიძეს დედის
გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: [illegible],
თავისუფლების მოედანი, ჯუღაშვილის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
93-20-36, 93-19-99 93-18-41